

Յո՛ւնիստ



№ 7 1948 Ե.





ქართული
წიგნი 1948

№ 7

პ ი ო ნ ე რ ი



საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

გამომცემლობა

„კ მ უ ნ ი ს ტ ი“

წელიწადი XXII


ПИОНЕРИ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии
(на грузинском языке)



მოსწავლეთა პირველ რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე გამარჯვებულნი მძირი ქოჩლაძე და ნადეჟდა ხნიკინა.

ნაძვნარებში

ც ე მ ი ს ა კ ე ნ




4510

მატარებელმა სწრაფად გაიბრინა პატარა ხიდი და ქშენით შეუდგა აღმართს. იგი თავგამოდებით მიჰქრის ფიჭვნარებსა და ნაძვნართა შორის დაგებულ ვიწრო ლიანდაგზე. ტყიდან ჩიტების დამატკობელი სტვენა და დაუსრულებელი ელურტული ისმის. ხევში ხმაურით მოშუის დაუდევარი მდინარე. ირგვლივ მოსჩანს ცადაღმართული ტყიანი ლამაზი მთები.

ყველგან სიცოცხლე, ყველგან სიხარულია. ახალდაბაში, წალვერში, ტყეში თუ ყვაფილოვან ფერდობებზე, მინერალურ წყაროსთან, თუ ორსართულიან ლამაზ შენობებში, ყველგან პირმოცინარი წითელყელსახვევიანი გოგონები და ბიჭუნები არიან. მათი მხიარული ყრიაშული და ხმაშეწყობილი სიმღერა ალერსიან ნიავს შორს, თვალუწვდენელ ტყეში მიაქვს.

წელს საქართველოს კურორტებზე 86.223 მოსწავლე და სკოლამდელი გაატარებს მხიარულად ზაფხულს. საბჭოთა არმიის დაღუპულ მეთმართა, სამამულო ომის ინვალიდთა, მუშა-მოსამსახურეთა და მრავალშვილიან მშობელთა ბავშვები მთისა და ტყის სუფთა ჰაერზე გაიჯანსაღებენ სხეულს, რათა უფრო ენერგიულად შეხვდნენ ახალ სასწავლო წელს. 5.000 ბავშვი მიიღებს მონაწილეობას ხასკოლო ტურისტულ ბანაკებსა და ლაშქრობებში. რამდენ სიამოვნებას იგრძნობს ლაშქრობის თითოეული მონაწილე მშობლიური მხარის შესწავლის დროს! რამდენ ძველ ციხეებს, მთებს, წყაროებს და ისტორიულ ადგილებს ნახავენ ჩვენი პიონერები ამ ზაფხულის განმავლობაში! და ეს ყოველივე მხოლოდ ჩვენს დიდ ქვეყანაშია შესაძლებელი, მხოლოდ ამ ეპოქაში შეიძლება მოზარდ თაობას ჰქონდეს ასეთი ბედნიერი ბავშვობა, — ვფიქრობ და მთის ფერდობზე პიონერთა ბანაკის ლამაზ შენობას შევცქერი.

მატარებელი წალვერის სადგურიდან გავიდა. კეჩხოზის ტყიდან ნიავს ფიჭვების საამური სურნელი მოაქვს, ორთქლმავალმა ხმაურით გაიარა მაღალი ხიდი და აღ-



მართს ხვნეშით შეუდგა. იგი კალთების შემოვლით მთას თავზე მოექცა. ცოტაც და გამოჩნდა ცემის სადგური და ამიერკავკასიის რკინიგზის ბავშვთა სანატორიუმის ლამაზი შენობა.

მატარებელი შეჩერდა.

— დედა!

— ნოდარ, გენაცვალოს დედა, როგორა ხარ, შვილო!

— კარგად, დედა, აქ ისეთი კარგია, ისეთი კარგი, რომ...

— როგორ გასუქებულხარ! სადგურზე მატო წამოხვედი?

— არა, დედა! გაიცანით, ეს ჩვენი პიონერ-ხელმძღვანელია. ძალიან ვთხოვეთ...—ისმის სადგურზე ჩამოსულ მშობელთა და დამსვენებელ ბავშვთა საუბარი.

ხელიხელგადახვეული დედები, მამები და შვილები ბანაკებისაკენ მიდიან.

ბ ა ნ ა კ შ ი

სადგურიდან ერთი კილომეტრის მოშორებით, ძალიან ნაძვნართა შორის, მოსჩანს ლამაზი შენობა. ეს დიდი ცემის სკოლაა. ახლა ამ შენობაში დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა პროფკავშირის პიონერთა ბანაკია მოთავსებული, სადაც ამ ზაფხულში 120 ბავშვი დაისვენებს.

შენობის უკან, მთებ შორის, ხმაურით მიემართება ხევის წყალი. თვალს იტაცებს გაშ-

ლილი სივრცე ფიჭვნარისა და ნაძვნარის ხშირი ტყეებით. ბანაკს თავზე დასცქერის ლიბანის მთა, რომელზედაც მონღოლები შეეწყვიტა გუნებს პატარა ორთქლმავალი.



ზაირა ბერაძე (ქუთაისი) და სულიკო ცხადაძე (ყვარელი) ერთმანეთს ესაუბრებიან ლიტერატურული წრის მომავალი მეცადინეობის შესახებ.

აი, ბანაკის ეზოში, ერთ დიდ ნაძვის ხის ძირას პიონერები შეკრებილან და შუაში მჯდომარე კაცს ეუბნებიან:

— მერე, მერე, პატივცემულო მასწავლებლო?

— ჩვენ გისმენთ, განაგრძეთ...

ეს პატივცემული მასწავლებელი მრავალგზის ორდენოსანი, ფრონტელი ივანე ელიშვილია, რომელიც ომის შემდეგ თავის საყვარელ პროფესიას—პედაგოგობას დაუბრუნდა და ბორჯომის ქალთა საშუალო სკოლაში მუშაობს, ხოლო ამჟამად კი ბანაკის უფროსია. იგი გულდასმით მოუთხრობს ბავშვებს თავის საბრძოლო ეპიზოდებს.

საქართველოს რომელი კუთხიდან არ შეხედებით აქ დასასვენებლად ჩამოსულ ბავშვებს, რომლებმაც წარმატებით დაამთავრეს გასული სასწავლო წელი. ერთმანეთს ეცნობიან და თავიანთ მომავალ ცხოვრებაზე საუბრობენ გორელი, სურამელი, თბილისელი, ახალციხელი, ქუთაისელი, ყვარელელი და სხვა მხრიდან ჩამოსული პიონერ-მასწავლებლები. ისინი ჩამოვიდნენ თუ არა, მაშინვე შეუდგნენ შინაარსიან საზაფხულო პიონერულ ცხო-



ბორჯომის ქალთა საშუალო სკოლის მეოთხე კლასის ხუთოსანმა მოსწავლემ იზა ელიშვილმა პიონერთა ბანაკში მრავალი საინტერესო წიგნი წაიკითხა.



ვრებას. ჩამოყალიბდა პიონერთა პირველი და მეორე რაზმი, უფროსი და უმცროსი ასაკის პიონერებისათვის; ერთდროულად გამოუშვეს ორივე რაზმისა და საბანაკო კედლის გაზეთი; გაამზადეს ალბომები, ჩამოაყალიბეს ლიტერატურული, ცეკვის, საშაშო-საჭადრაკო, მომღერალთა, ბიოლოგიური, ფეხბურთის და ფრენბურთის წრეები. ექსკურსიები მოეწყო წალვერში, ბორჯომის შუშის ქარხანაში და სხვა საინტერესო ადგილებზე. პედაგოგებმა გ. ვაბიტაშვილმა, ქ. ანთაძემ და თ. მელქაძემ თავიანთი საქმიანობით ბავშვების დიდი სიყვარული დაიმსახურეს. ისინი სისტიმატურად აწყობენ ბავშვებთან პატრიოტულ და საინტერესო თემებზე საუბრებს. დიდი მზრუნველობით ეპყრობა ბავშვებს ახალგაზრდა ექიმი ჯ. ყორაოლიანი.

ბანაკის ეზოში მიწოდორზე ბურთს ხალხის ნაღ დასდევს პატარა ბიჭუნა. იგი თბილისი ვაჟთა მე-18 სკოლის მეორე კლასის მოსწავლე გენო ბასილაშვილია, რომელიც გერმანელთა ტყვეობაში იყო. გენო რვა წლისაა, მაგრამ მშვენივრად ახსოვს 3-4 წლის წინათ მომხდარი ამბები. გენოს მამა ფრონტზე დაეღუპა, ხოლო დედა კი (ეროვნებით უკრაინელი) გერმანელებმა მოუკლეს. ეს გენოს არადროს არ დაავიწყდება.

— ომის დროს ჩვენ უკრაინაში ვცხოვრობდით. ჩვენს სოფელს გერმანელები დაესხნენ და ცეცხლი წაუკიდეს. ამ დროს დედაჩემი ავად იყო და იწვა. ერთ დღეს გერმანელები მოვიდნენ.

— თქვენ პარტიზანები ხართო,— სთქვეს და დედას რკინით სცემეს და მოჰკლეს, ბაბუას კი თავი მოსჭრეს. ჩვენ სახლიდან გამოგვრეკეს და შიგ თვითონ იქეიფეს. ბებომ სხვებით წამიყვანა ტყეში, ეშინოდა:— ტყვია არ მოგხვდესო.— მახსოვს: ერთ დიდ ხეზე ავედიო, ფულუროში უნდა დამეძინა. ვხედავ, ფულუროში ციყვი ზის და მიცქერს. მე მოვეფერე და იმ დამეს ერთად გვეძინა.

მე და ბებო რამდენიმე ხანს ტყეში ვცხოვრობდით, ბალახის ძირებს ვჭამდით. შემდეგ ბებომ ქალაქში წამიყვანა და იქ მუშაობა დაიწყო. (როგორც გამოვარკვეით, გენოს ბებიას ანა კოზირს მუშაობა დაუწყია დნეპროპეტროვსკის ოლქის, სადგურ რიადავოიში, ჭარხლის პუნქტში). იქ კარგად გვეპყრობოდნენ. მე ღორებისათვის ბალახებს ვაგროვებდი, სამაგიეროდ კი კარაქს და კონსერვებს მაჭმევდნენ. 1947 წელს ქართველი ბებიასა-

შინაარსიანად და ხალისიანად ცხოვრობს მთელი ბანაკი.

მ ე გ ო ბ რ ე ბ ი

მოჩხრიალე მდინარის პირად, დიდ ქვაზე ორი გოგონა დამჯდარა. ისინი საქმიანად საუბრობენ. ერთი, ქუთაისის ქალთა 1-ლი სკოლის მე-7 კლასის ხუთოსანი მოსწავლე, პიონერი ზაირა ბერაძეა, რომელიც ბანაკის ქორეგრაფიულ წრეს ხელმძღვანელობს, მეორე კი მე-9 კლასის ხუთოსანი მოსწავლე სულიკო ცხადაძეა ყვარლიდან. სულიკო მომღერალთა გუნდის და ლიტერატურული წრის ხელმძღვანელია, რომელმაც მოაწყო საუბრები თემებზე: „აკაკის და ილიას შემოქმედება“, „ალიო მირცხულავას პოეზია“. „ზოია“, „არკადი გაიდარის მოთხრობები“ და სხვ. მომღერალთა გუნდს მანვე შეასწავლა საბჭოთა კავშირის და საქართველოს ჰიმნები და სხვადასხვა სიმღერები. და აი, ეს ორი გოგონა ბანაკში დაამეგობრა. მათ პირობა დასდეს: სულიკო ზაირას ეწვიოს ქუთაისში, ხოლო ზაირა კი სულიკოს—ყვარელში. ზაირა მეგობარს გააცნობს ქუთაისის და მისი მიდამოების ისტორიულ ადგილებს, აჩვენებს ბაგრატიის ტაძრის ნანგრევებს, სათაფლიას გამოქვაბულს, ავტოქარხნის მშენებლობას, გელათის მონასტერს... სულიკო კი ყვარელში ზაირას დაათვალიერებინებს ილიას მუზეუმს, სახლს, სადაც დაიბადა კ. მარჯანიშვილი, პოემა „კაკო ყაჩაღში“ აღწერილ კულიგორას, წინანდლის საბჭოთა მეურნეობას, მეფე ერეკლეს სასახლეს თელავში, რაფ. ერისთავის საფლავს და სხვ.



სულიკო და ზაირა დიდ ყურადღებას აქცევენ პატარებს. ისინი პედაგოგებს და პიონერხელმძღვანელებს ეხმარებიან პიონერულ ბანაკის დისციპლინირებულ ცხოვრებაში.

მათ სურთ ეს ზაფხული კარგად და შინაარსიანად გაატარონ, რათა ახალი ენერგიით შეხვდნენ ახალ სამოსწავლო წელს.

პატარა გენო მეგობრებს თავის თავგადასავალს უამბობს.



თბილისის რკინიგზის მე-7 სკოლის VII კლასის ხუთოსანი მოსწავლე ჯუმბერ სარიშვილი კედლის გაზეთის ახალ ნომერს ამზადებს.

გან წერილი მოგვივინა:—ჩვენთან ჩამოდი-
თო.

თბილისში რომ ჩამოვედით, ღამე იყო. იმ ღამეს სადგურში გვეძინა. დილით კი მოვნახეთ ბებია ნატალია; იმასაც ძალიან გაეხარა და შეც. ანა ბებია კი რამდენიმე ხნის შემდეგ უკრაინაში, სოფელ ნოვომანუილოვსკაიაში წავიდა და ახლა იქ ცხოვრობს ჯარიდან დაბრუნებულ შვილთან.

გენომ კმაყოფილებით ვადაპხედა მიღამოს

და მეგობრებთან ერთად პატარა მდინარისა-
კენ მიმავალ ბილიკზე ჩაირბინა.

თბილისის ქალთა მე-19 საშუალო სკოლის დამსახურებული პედაგოგი, „ქართველი ბე-
ბია“ — ნატალია ბასილაშვილი ბევრს ზრუნავდა და ზრუნავს პატარა გენო-
ზე. მან საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და ლენინის რაიონის საბჭოს თავმჯდომარის ამხ. დ. ჭიჭინაძის უშუალო დახმარებით მოსძებნა თავისი საყ-
ვარელი გენო. სოციალურ უზრუნველყოფის ამინისტრომ მას ერთდროული დახმარების სახით 2.000 მანეთი მისცა; პატარა გენო ყო-
ველთვიურად 200 მანეთს იღებს, დახმარებას აძლევს აგრეთვე ლენინის რაიონის განათლე-
ბის განყოფილებაც. ნატალიას განათლების კავშირმა გენოსათვის სრულიად უსასყიდ-
ლოდ ცემის, სანატორიუმის ტიპის პიონერ-
თა ბანაკის 40 დღიანი საგზ უფრი მისცა, სა-
დაც ამჟამად ზაფხულს მხიარულად ატარებს პატარა გენო.

კოცონთან

მხიარულად გაივლის ზაფხულის მზიანი დღეები. მრავალი სამახსოვრო დღე აღიბეჭ-
დება პიონერთა მესხიერებაში... და როდესაც მოახლოვდება გამგზავრების დღე, ისინი მო-
ელვარე კოცონთან შეიკრიბებიან, მოიგონე-
ბენ ბანაკში გატარებულ ტკბილ დღეებს, მწერლებთან, ხელოვნების მუშაკებთან და გამირებთან შეხვედრებს, მეგობრები ერთმან-
ეთს გამოემშვიდობებიან და ჯან-ლონით სავსენი, ბარაქიან შემოდგომის პირველ დღეს, სიხარულით შეაღებენ საყვარელ სკო-
ლის კარებს.

კ. გოგიაშვილი

ფოტო დ. ლობჯანიძისა



ბავშვები მხიარულად ატარებენ დროს.

მკა



აენთო, გაგანიერდა
მნათობის ამოსახედი.
ფრთები გაშალა ფრინველმა,
ფეხზე წამოდგა კახეთი.
ნიავემა თარეშ-თარეშით
შემოირობინა მინდვრები.
გუგუნი ატყდა ყანებში
ვეება კომბაინების.

სანამგლე ყანაც ბევრია,
უღიმის ნამგალს ნამგალი.
ჰოი, რა თავთავებია?!—
სიმძიმისაგან, კანკალით
შიგდაშიგ ჩოქზე დგებიან...

სვე გააქვს ჭაბუკ მესვეურს,
არც მოხუცები აკლებენ.
აგერ, მზეც ამოლივლივდა,—
შუქი გადატყდა ნამგლებზე.

ძრავლდება ხელეურები,
ფიცხობენ მეძნეურებიც!
გახშირდა, ძალზე გახშირდა
გზებზე ჭრიალი ურმების.
მანქანას მისდევს მანქანა,
შოფერი შოფერს გასძახის.
დღე ღონეს იკრებს თანდათან
და ნამს იბერთყავს ბალახი.

ახარებთ ყველგან კალოებს
ტალით ნაჭედი კევრები,
კევრებში შესაბმელები
მკერდგანიერი ცხენები,
დღედაღამ გრიალ-გრიალი
სალეწი მანქანებისა,
ძნებზე ფიწლების ტრიპლი,
სიმღერა ვაუკაცებისა!

შალვა აბიუსულაშვილი





თბილისიდან

ნამდვილი * ამიერი

ბასმაჩებმა აიკლეს სოფელი, გაირეკეს ჯოგი, წაიღეს მარცვლეული და მიიმაღნენ უდაბნოში.

ალი-ისმაილმა, სოფლის ღარიბთა მოთავემ, შეადგინა რაზმი და დაედევნა ბასმაჩებს. გადიოდა დღეები, ალი-ისმაილის რაზმი დიდდებოდა, ძაღვის წითელ რაზმად გარდაიქმნა და სასტიკი ომი გამოუცხადა შუააზიელ ყაჩაღებს.

ალი-ისმაილი სოფელში სინდისითა და ვაჟკაცობით იყო ცხოვრილი. იგი რევოლუციის პირველ დღეებშივე ჩადგა რევოლუციონერთა რიგებში და იბრძოდა თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ. ეს ის დრო იყო, როცა საბჭოთა ხელისუფლება ფეხს იკიდებდა შუააზიაში.

ალი-ისმაილს ორი შვილი ჰყავდა — ვაჟი აბდული და ქალი ლეილ-ხანუმი. ორთავენი ერთმანეთს ჰგავდნენ ღამისფერი თვალებითა და თმებით, ოდნავ მსუქანი ბაგეებით და სწორი, ღამაზი ცხვირით. ბავშვებს მამის საომრად წასვლის შემდეგ ბაბუა ახმედი ზრდიდა, რომელიც სოფლიდან 30 კილომეტრზე ცხოვრობდა და უვლიდა ცხვრების ფარას.

ბავშვებთან ხანდახან სოფლიდან მათი დედაც ამოდიოდა ალი-ისმაილის ერთგული მეუღლე ალანა-ხანუმი.

ასე მიდიოდა დღეები. ხანდახან უდაბნოში მოწყურებული და დამწეული წითელ-რაზმელი გამოჩნდებოდა, ცხელი ქვიშისაგან ჩლიქებდამწვარ ცხენს ზედ ბაბუა ახმედის კარავთან შეაჩერებდა, თავზე ხელს გადაუსვამდა პატარა აბდულსა და ლეილს, და იტყოდა:

— რევოლუცია იმარჯვებს რუსეთში. ბასმაჩებო იარაღს ჰყრიან. მხოლოდ ჰუსეინ

ბასმაჩი გვემალება თავისი ბანდით და იმასაც მალე მოსპობს ალი-ისმაილი.

ბაბუა ახმედი უსაჩუქროდ არასოდეს არ გაისტუმრებდა ხოლმე ამბის მომტანს. მერე გამოიტანდა დომბრას და მის ხმაზე იტყოდა ალი-ისმაილის საგმირო ამბებს.

ერთ დილას, როცა ბაბუა ახმედს ჯერ კიდევ არ გაეშალა თავისი ფარა, თაზისებს შორის ახლად ამოყლორტილ მცენარეებზე ჭენებით მომავალი ორი ბედაური გამოჩნდა. პირველად ეს პატარა ლეილ-ხანუმი შეამჩნია და მხედრებისაგან გაემართა. პატარა ლეილს ისინი ამბის მომტანი ეგონა.

მხედრებმა ცხენები ბავშვთან შეაჩერეს.

— სად არის ახმედი? — იკითხა მკაცრად ერთმა, უფრო მაღალმა და თეთრად ჩაცმულმა.

ლეილი შეკრთა. ის არ მოელოდა მათგან სიმკაცრეს, თანაც მათმა ჩაცმულობამ გააკვირვა.

„ასე ხომ არ იცვამენ ჩვენები!“ — გაიფიქრა მან.

— სად არის მეტი? — გაიმეორა იმავე მხედარმა და ბავშვთან მიაგდო ცხენი.

— ბაბუა არ არის შინ, სოფელში წავიდა, — წარმოსთქვა ლეილმა. თუმცა კარგად იცოდა, რომ ახმედი ცხვარს შლიდა იქვე ახლოს პატარა ბორცვს უკან.

— შენ ლეილ-ხანუმი ხარ? — იკითხა თეთრად ჩაცმულმა.

— დიახ, ალი-ისმაილის შვილი.

— ჰოდა, მიცნობდე, მე ჰუსეინ ბასმაჩი ვარ, რომლის შიშითაც უდაბნოს მცენარეებიც კი ჰკანკალებენ.

პატარა აბდულს, რომელიც ამ დროს ჭაში იყო ჩასული და თუნგულას ავსებდა კრია-

ლა წყლით, მოესმა ეს სიტყვები. შეერთა ბიჭუნა ჰუსეინის სახელის გაგონებისთანავე. ოდნავ ამოჰყო ჭიდან თავი, თვალი მოჰკრა ხმლისაგან დაჩეხილ ბასმაჩების სახეებს.

— წაიყვანე ეს ძაღლის ლეკვი, ამაზე ვიძიოთ შური! — დაუყვირა ჰუსეინმა მხლებელს და ცხენს დეზი ჰკრა. მეორე ბასმაჩი გადმოიხარა ცხენიდან, აიტაცა ლეილ-ხანუმი და ჭენებით მიმავალ ჰუსეინს დაედევნა. ყოველივე ეს ისე უეცრად მოხდა, რომ აბდულმა ვერაფერი მოისახრა, მხოლოდ რამდენჯერმე იყვირა:

— ბაბუ, ბაბუ!

ბასმაჩები მიიმალნენ. აბდული უმანკო ცრემლებს ღვრიდა ბაბუა ახმედის ჩოხაზე, რომელმაც ისღა მოახერხა, რომ სანადირო ოთფი რამდენჯერმე გაესროლა.

დაღამდა. ცივმა ქარმა გადმოუარა უდაბნოს. ტალღებივით აქოჩრილი სილის გორები ამოდრავდნენ. ბაბუა ახმედმა ჭრელი ბაღდადით ამოიწმინდა აცრემლებული თვალები, ქვითკარის კედელზე დაკიდებული დომბრა ჩამოიღო, ნელა გადმოაბიჯა კარავის ზღუდეს, ფეხები მოირთხო და თითები ჩამოჰკრა დომბრას. მოხუცის სევდიანი სიტყვები მოიტაცა უდაბნოს ქარმა. სტიროდა ახმედ, სტიროდა მოხუცი თავისი შვილიშვილის ბედს.

აბდული იქვე ახლოს იდგა, შავი, ღამისფერი თვალებით გაჰყურებდა უდაბნოს ღამეს. სახე უმანკო ცრემლებს დაესერა. იგი ჰივიდა ბაბუასთან.

— ბაბუ, კეთილო მოხუცო, სისხლს ავიღებ, სისხლს! ჩემი პატარა დის ლეილ-ხანუმის სისხლს. ტყვიით გავუხვრეტ თავს ჰუსეინ ბასმაჩს.

აბდულმა მომუტული ხელი გაიშვირა უდაბნოსაკენ.

ახმედი დიდხანს უკრავდა დომბრას. მთვა-

რე სახეში ანათებდა მოხუცს და უშუქებდა თეთრ წვერს.

აბდული მეორე დღეს აღრე ადგილზე წყლით დაიბანა პირი. უძილობით სწავლები დასივებოდა. გულმა აღარ მოუთბინა, ნელა გაჰყვა ოაზისებს შორის გაფენილ პატარა ეკლიან მცენარეებს. გადაიარა პატარა სილის შორცვები. შორს თვალი მოჰკრა ყვავების გუნდებს, რომლებიც ბუზებივით დახვეოდნენ რაღაცას. აბდული იქით გაემართა. ნელ-ნელა წამოიშალნენ ყვავები და ცას გაეკრნენ. ახლა გარკვევით გამოჩნდა სილაზე დაგდებული ადამიანის გვამი. ფერწასული ბავშვი მიიჭრა მასთან.

— ლეილ, ჩემო საყვარელო დაო! — იყვირა მან და შიშით შეხედა გაშიშვლებულ თავის ქალას. ყვავებს სულ მთლიანად შეეჭამათ ყურები, ამოეკორტინათ ღამაში, ღამისფერი თვალები. მხოლოდ ტანსაცმელით თუ იცნობდა კაცი მულამ მოკისკისე ლეილს.

აბდულმა ვერ გაჰპოვა ხელით შეხებოდა საყვარელი დის გვამს, რომლისთვისაც გული გაეპო ბასმაჩის მახვილს, მხოლოდ გამოიქცა უკან და ბაბუას უთხრა ეს შემზარავი ამბავი.

* * *

გათავდა ბრძოლა უდაბნოში. ჰუსეინ ბასმაჩის ბანდა დაიშალა. ზოგი ბანდიტი ბრძოლაში მოკვდა, ზოგი ტყვედ ჩავარდა, ზოგმა კიდევ თავს უშველა — ავღანისტანს შეაფარა თავი.

თვითონ ჰუსეინმა ქალის კაბა გადაიცვა და ალი-ისმაილის სოფელს შეეხიზნა. ალი-ისმაილმა, რომელიც ბრძოლის შემდეგ თავის ცოლშვილში დაბრუნდა, ეს ამბავი შეიტყო. მას აწვალებდა შურისგების გრძნობა ამ ბებერი ბასმაჩის მიმართ, რომელმაც ასე ველურად აწამა და მოჰკლა მისი ქალიშვილი. ისმაილს არაფერი არ აფიქრებდა, გარდა ერთი რამისა: სოფელში ოთხმოცდაექვსი



ქალი იყო, ოთხმოცდაექვსთაგან უჩადროდ არც ერთი არ დადიოდა, მოდი და გამოიცანი ოთხმოცდამეშვიდე ქალის ტანსაცმელით მოსიარულე მამაკაცი ჩადრს შიგნით.

პატარა აბღულმა, რომელმაც ერთხელ ყური მოჰკრა მშობლების საუბარს, გადასწყვიტა ოთხმოცდამეშვიდე „ქალზე“ თვითონ აეღო დის სისხლი.

— შურს ვიძიებ, ჩემი პატარა ლამაზი დის სისხლს ავიღებ! — გაიძახოდა აბღული.

ერთ დღეს, როცა მზის უკანასკნელი სხივები ყარა-ბოლახის იქით ჩაჰქრა, როცა სიცხისაგან გათანგულ უღაბნოს შეღამების ქარმა წამოუქროლა, აბღულმა ცხვარი შემორეკა სოფლის ხილზე. ერთგულმა ნავაზმა, რომელიც მუდამ თან დასდევდა აბღულს, ხიდის მოაჯირთან მდგარ ვიღაც ჩადრიან ქალს შეუყვავა. აბღულისათვის იმდენად მთულოდნელი იყო ეს, რომ სანამ თავზე არ წაადგა ქალს, ვერ შეამჩნია, მაგრამ როცა შეხედა, თვალი მოჰკრა ჩადრს შიგნით ანთებული პაპიროსის მკრთალ შუქს. სოფელში ოთხმოცდაექვს ქალთაგან არც ერთი პაპიროსს არ ეწეოდა.

— ჰუსეინ! — დაიყვირა ბავშვმა და ორივე ხელით შეანჯღრია ბასმაჩი. ჩადროსანსა გადაიხარხარა.

— გველის წიწილო! — დაიძახა მან, ერთი ნაბიჯით უკან დაიწია და მძლავრად ჰკრა წიხლი მუცელში ბავშვს.

აბღულს თვალი დაუბნელდა და იქვე ჩაიკეცა, გაათრეხული ძალი მივიარდა ბასმაჩს, მაგრამ რევოლვერის გასროლამ ჩააჩუმა ის.

ალი-ისმაილმა გვიან შეიტყო ეს ამბავი. გულწასული ბავშვი ხელში აიყვანა. ჩუმად

გაიარა განრისხებულ სოფელს სოფლის და მძიმე ნაბიჯებით გასწია შინისაკენ.

ამ ამბავმა კიდევ უფრო ააფორიჭა ალი-ისმაილი. ის გულჩახვეული შეიქნა. შად გამოეცვალა ხასიათი, ყოველდღე რაღაცას ფიქრობდა, ეძებდა ჰუსეინ ბასმაჩისათვის მოხდენილ ხაფანგს.

ერთ დღეს ალი-ისმაილმა იხმო სოფლის მოთავენი, ცალკე ოთახში ჩაიკეტნენ, ბჭობდნენ. პატარა აბღული ფეხაკრფით მიიპარა ოთახის კართან და ყური მიუგდო მათ ბჭობას.


მეორე დღეს სოფელში განცხადება გამოაკრეს, სადაც ეწერა, რომ სოფელში მცხოვრები ყველა მეაბრეშუმე ქალი ვალდებული იყო გამოცხადებულიყო საჩაიეში, სადაც მათ საუბარს ჩაუტარებდა მეაბრეშუმეობის შესახებ ქალაქიდან ჩამოსული კაცი.


სოფლის ყველა მოსახლე ეწეოდა მეაბრეშუმეობას. ამიტომ ყველა ქალი ვალდებული იყო გამოცხადებულიყო დანიშნულ ადგილზე.

საჩაიე სოფლის შუაგულში მდებარეობდა, ყველა საჭირბოროტო საკითხი ყოველთვის იქ წყდებოდა, რადგან სოფელს უფრო შესაფერისი შენობა არ ჰქონდა.

დანიშნულ დროს ქალებმა დაიწყეს შეკრება. ალი-ისმაილი მაგიდასთან იჯდა და ღინჯად შეექცეოდა ჩაისს. ის ყოველ ახლადშემოსულ ქალს დაკვირვებით ათვალიერებდა, და ითვლიდა.

უკვე მოვიდა მეოთხმოცე ქალი, ალი-ისმაილი ღელავდა. კარებში გამოჩნდა ოთხმოცდამეერთე... ალი-ისმაილი ვერ ისვენებდა. მოვა თუ არა ოთხმოცდამეშვიდე?! აჰა უკვე მოსულ ქალთა რიცხვი ავიდა ოთხმოც-





დაექვსზე. ალი-ისმაილს თავბრუ ესხმოდა. ქალები ყაყანებდნენ, მოითხოვდნენ საუბრის დაწყებას, მაგრამ ალი-ისმაილი ჯერ ისევ სდუმდა. კარებში უკვე ოთხმოცდამეშვიდე ქალიც გამოჩნდა. ალი-ისმაილი წამოდგა სახეგაწითლებული, აკანკალებული და ღინჯად დაიწყო:

— ქალებო, თქვენს შორის, ერთი ბასმაჩია, ქალურად გადაცმული, იგი თავს აფარებს ჩადრს. ქალებო! ვისაც სურს გავიდეს საჩაიედან, უნდა მოიხადოს ჩადრი.

ქალებმა ყაყანს უმატეს.

— არავის არ აქვს უფლება ძალათ მოგვხადოს ჩადრი! — გაიძახოდნენ ისინი. მაშინ გამოიჭრა ალანა-ხანუმი და დაიყვირა:

— ქალებო! მე პირველი ვიხდი ჩადრს. ჩვენს შორის ბასმაჩია, ჩვენ ქმრებისა და ბავშვების მკვლელი. ქალებო! ჩვენს შორის ჰუსეინ ბასმაჩია.

ჰუსეინის ხსენებაზე ქალებში გრგვინვა გაისმა. რამდენიმე ქალმა ალანა-ხანუმის მიბაძვით მოიძრო ჩადრი და გასასვლელთან გაჩერებულ სოფლის თავკაცებს აჩვენეს სახე, შემდეგ კი გარეთ გავიდნენ.

ალი-ისმაილი იდგა ღინჯად და რევოლვერს სრესდა ხელში. უეცრად სროლის ხმა

გაისმა. ალი-ისმაილს მარჯვენა მკლავი უღონოდ შეუტოკდა, რევოლვერი ხელიდან გაუვარდა. იმავე დროს ორჯერ გაანათა რევოლვერმა პატარა აბღულის ხელში და ერთი ჩადროსანი დაენარცხა იატაკზე.

— მოკვდი ძაღლო! — ჰყვიროდა პატარა აბღული და წიხლსა სცემდა დაცემულ ჩადროსანს.

ალი-ისმაილმა ნელა გაარღვია ქალების ჯგუფი, აბღულთან მივიდა. ისმაილს მარჯვენა ხელი სისხლით ჰქონდა შეღებილი. მისთვის ბასმაჩის პირველ გასროლილ ტყვიას გაეხვრიტა მკლავი. ალი-ისმაილმა მარცხენა ხელით მოხადა ჩადრი წაქცეულს და შეჰყვირა:

— ჰუსეინ! — მაგრამ ბასმაჩს აღარ ესმოდა, — აბღულის ტყვიას გაეხვრიტა მისთვის შუბლი. ალი-ისმაილმა მარცხენა ხელი მოხვია შვილს, შუბლზე აკოცა და ლულულღია წარმოსთქვა:

— შეილო! არ მჯეროდა, უკვე ვაჟკაცი ყოფილხარ, უდაბნოში ჩვენი ადამიანების უსამართლოდ დახოცვისათვის შური ნაძიება.

იმ დღიდან შუააზიის ამ სოფლის არცერთ ქალი ჩადრს აღარ ატარებს.



ნორჩი კადატოზები

თბილისის მე-18 საფაბრიკო-საქარხნო სკოლის შოსწავლეებს

ახალ ქვის სახლს აშენებენ,
გულდინჯად და დაკვირვებით.
რომ უყუროთ ამ პატარებს,
მათი შრომით გაკვირდებით.
რეზო გივის ქვებს აწოდებს
და სილას ცრის ბიჭი ვანო,
ეს კედელი მოხდენილად
გიგამ უნდა აიყვანოს.
აგერ კირსა ირაკლი ზელს,
ნიჩაბს ურევს ვაჟკაცურად.

წყალში კირი, როგორც ფერფლი,
დაშლილა და დანაცრულა.
მათ რომ ხედავს, უხარია
მასწავლებელს — უფროს ოსტატს,
გულში ფიქრობს: „მუშაობენ
ეს ბიჭები მარდად, კოხტად!“
მართლა, როგორ ტრიალებენ,
წუთით არა ჩერდებიან. —
გამრჯე, ცოდნის მოყვარული
მშენებლები გვეზრდებიან!

გიორგი ლეჟავა





თემური და გემი

ახმაურდა, ამოდრავდა
ნავსადგურში გემი ნელა,
და მის მკერდზე ზღვის ნათელი
აციალდა ცისარტყელად.

თეთრ მილიდან თეთრი ბოლი
გაიშალა ღრუბლად მადლა.
ზღვაც შეირხა და სიცილით
აედევნა ტალღას ტალღა...

მიდის გემი, დიდი გემი,
გაშლილ ზღვაში მხნედ გავიდა, —
მგზავრები კი ცხვირსახოცებს
კვლავ გვიქნევენ გემბანიდან.

თითქოს ექცათ მხარ-მკლავები
თოლიების მსუბუქ ფრთებად,
თითქოს მიწის და ბათუმის
დატოვება ენანებათ.

მიდის გემი, მიიჩქარის,
ზღვას და ამინდს არ ემდურის,
და დღენათელს ნაპირიდან
ვერ აშორებს თვალს თემური.

ფიქრობს ბიჭი მეოცნებე:
„როგორ ცურავს, ნეტავ, გემი?!
რა დიდია, რა კარგია!
მას მიჰყვება გული ჩემი!

ნეტავ, მისი მგზავრი ვიყო,
მის კალთაში ბინა მქონდეს!
მას სოხუმში, მას სოჭაში,
ან არტეკში მივყვებოდე!“

და აოცებს ზღვასთან გემის
სითამამე... მკერდის ძალა.
მიდის გემი, მხნედ მისცურავს, —
ზღვის სივრცეში მიმძალა.

მისი მკრთალი, თეთრი ბოლიც
ზღვის ნისლივით ნელა ქრება...
თემური კვლავ ზღვას გასცქერის
და ოცნებით გემს მიჰყვება.

გიორგი კაჭანიძე





ქუთაისის ანსამბლის გამოსვლა ბავშვთა თვით შემოქმედების მესამე რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე.

იფურჩქნებიან ნორჩი ტალანტები

— გულისფანცვლით ველოდით ოლიმპიადის დაწყებას... და, აი, კიდევ შეირხა ოპერის თეატრის უზარმაზარი ფარდა, მოსწყდა სცენას და სწრაფად ავიდა ზევით, — აღტაცებით დაიწყო თეიმურაზმა. იგი ბავშვთა თვითშემოქმედების მესამე რესპუბლიკური ოლიმპიადის შესახებ უამბობდა მეგობრებს — თამარსა და შოთას, რომლებიც არ დასწრებიან ამ ოლიმპიადას.

— დაიწყო დათვალიერება, — განაგრძო თეიმურაზმა, — პირველად ჩვენები გამოვიდნენ — თბილისელები. „ყველანი მინდვრად, ამხანაგებო!“ დაიძახა გოგონამ... სოფელია. მძიმედ დაუხრია თავი პურის ყანას. მკაა გაჩაღებული. კოლმეურნე გიორგის ეხმარებიან ქალაქიდან ჩასული ბავშვები — მკასა და თავთავის აკრეთაში. ისმის წკრიალა „გლესავ და გლესავ ნამგალო“. რა გულში ჩამწვდომი იყო ეს სიმღერა! ასე კანეთში მღერიან, იქ მოვისმინე შარშან მშობლიური

მხარის შესასწავლად რომ ვმოგზაურობდი. პიონერების სიმღერამ და ცეკვამ გაახარა ძია გიორგი. საკუთარი ბავშვობა გაახსენდა: უღიმღამო, მწარე, გაჭირვებული. გარს შემოეხვივნენ მოსწავლეები, სთხოვეს ეამბნა თავისი ბავშვობის შესახებ.

... სცენაზე სინათლე ჩაქრა. გამოჩნდა პატარა სოფელი ქოხმანებით. ასეთი ყოფილა ქართული სოფელი რევოლუციამდე. კომბალი უჭირავს ხელში თუმურქუდიან პატარა გიგლას. ბიჟს სწავლა სწყურია. „ისმინეთ წიგნის მცოდნენო!“ გულისტკივილით შესთხოვეს გიგლა უფროსებს, „მასწავლეთ, წიგნი მასწავლეთ, მასწავლეთ წერა-კითხვაი“.

კარგად ასრულებდა გიგლას როლს მოსწავლე ლორია.

ძლიერ მომეწონა სიმღერით ლამაზად შესრულებული მასობრივი ცეკვა „მზე შინა და მზე გარეთა“. იცი შოთა, სულ პატარა ცეკროდენა ბიჭმა, ის ალბათ ჯერ სკოლაში არც



აბაშის რაიონის აბაშის I საშუალო სკოლის VII და VIII კლასის პიონერკომსწავლეები ტატიანა აღმაძია და ჯილდა ძველაია ასრულებენ სიმღერას ბერიაზე.

კი დადის, ისეთი მთიულური ჩამოუარა, რომ ბევრ დიდსაც გაუჭირდება.

— დიდებული სანახავი იყო მონტაჟის ბოლო ნაწილი, — განაგრძო თემურმა, — უკან, სიღრმეში გაჩირაღდებული კრემლის კოშკი მოსჩანდა, გვერდით გამარჯვების ორდენი ბრწყინავდა. წინ კი ორი ტანადი მოსწავლის ფიგურა იყო ქანდაკებასავით აღმართული. „დროშა გვზრდიდა, ჩვენ სტალინის დროშა გვზრდიდა!“ — ჭეჭდა დარბაზში მათ მიერ წარმოთქმული ლექსი.

თემურს ყურს უგდებდა ვაჟაც, რომელიც თემურთან ერთად ესწრებოდა ოლიმპიადას.

— თემურ, — შეაწყვეტინა საუბარა ვაჟამ, — პატარა მანანაზე რას იტყვი, ლექსი „დილა“ რომ წაიკითხა?

— მანანა მაჩაბელზე? — იკითხა შოთამი.

— დიახ, — განაგრძო თემურმა, — ძაგრამ მანანა მაჩაბელი შენსავით კი არ კითხულობს ლექსს; შენ დაიწყებ და ისე ჩქარობ, გეგონება ვინმე მოგდევდეს უკან. ის მკაფიოდ, გრძნობით, დახვეწილად კითხულობდა, ამიტომ მაყურებლებმა ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვეს. მარტო ამით როდი გამოირჩეოდა მანანა. მან დოქსოპულოსთან ერთად, თამარ, ხომ იცნობ, ისინი თქვენთან ქალთა პირველ სკოლაში სწავლობენ, — ნამდვილი აქტიორივით გაითამაშა „ნაბია და წკიპა“.

— პირველ დღეს მხოლოდ თბილისელები გამოვიდნენ? — იკითხა თამარმა.

— არა, დამაცადე, სული მოვიტყვა. თბილისელების შემდეგ გამოვიდა თელავის მოსწავლეთა თვითმეგობრები კოლექტივი. შემ-

დეგ ქვემო სვანეთის რაიონის პიონერები და მოსწავლეები იყვნენ სცენაზე, ისინი შესცვალეს ცხაკაიდან ჩამოსულმა მანუშებმა. „ბედნიერი თაობა“ აი, რა იყო მათი გამოსვლის ძირითადი თემა.

* * *

— ახლა ვაჟა შენ განაგრძე. შენც ხომ ჩემთან ერთად ესწრებოდი ოლიმპიადას! — თქვა თემურმა და ვაჟას გადახედა.

— აბა, ვაჟა, რას გვეტყვი ახალს! — ერთად წამოიძახეს შოთამ და თამარმა.

ვაჟას გაეღიმა, სიამოვნებით ჩაახველა და დაიწყო:

— მეორე დღის პროგრამა არაფრით ჩამოუვარდებოდა პირველი დღისას. მაინც რაპდენი ცეცხლია ამ აფხაზურ ცეკვაში! მათ ცეკვაზე მეც ამოთამაშდა ფეხები.

— რალა ცეკვიდან იწყებ! — შენიშნა თემურმა.

— კარგი, კარგი. მსმ, მომისმინეთ. საყვირების ხმამ შესძრა დარბაზი. სცენაზე წარმტაცი პეიზაჟი გამოჩნდა. პალმებისა და უზარმაზარი ხეების ჩრდილში თავს იყრიან პიონერები; წითელი დროშებითა და სიმღერით განუწყვეტელ ნაკადად მოედინებიან რაზმებად დაწყობილი ჭაბუკები და ქალიშვილები. სწრაფად ცეკვა გაიმართა, თეთროსიანი ბიჭები ი. გაბესკირია, გ. პაჭკორია და ვ. ცაგურია ელვასავით დაჭკრიან. შეძახილებზე უფრო ფიცხდებიან. დიდი სიტკბო იყო ჩაქსოვილი საცეკვაო სიმღერაში, რომელიც ასე ბოლოვდებოდა ხოლმე: „საქართველო ჩვენნი ნატვირის თვალია“.

იცი, შოთა, აფხაზებსაც ყავდათ თავიანთი, „პატარა მანანა“, ეს იყო დოლო ბოჯგუა, ისეთივე პატარა, როგორც მანანა. საოცარია, მაგრამ მანაც სწორედ „დილა“ წაიკითხა. და, ამავე დროს, მოსწავლეთა ჯგუფთან ერთად, საუცხოოდ ითამაშა მთავარი როლი ინსცენირება „წყაროში“.

— რომელ თქვენთაგანს უნახავს მაღარო?

— იკითხა მოულოდნელად ვაჟამ.

ბავშვებმა გაკვირვებით ერთმანეთს გადახედეს. ეტყობოდათ, არც ერთს არ ენახა მაღარო.

— არც მე ვიცოდი, როგორი იყო მაღარო, — განაგრძო ვაჟამ, — სცენაზე პირველად ვნახე. სცენის სიღრმეში გვირაბი გამოჩნდა წარწერით: „ლენინის სახელობის შახტი“. იქიდან დატვირთული თვითმავალი ვაგონი გამოვიდა. ოდნავ ჩაბნელებულ სცენაზე ფანრები აციმციმდნენ. გამოჩნდნენ მოსწავლეები. მათ მეშახტეთა სპეცტანსაცმელი ეცვათ. ისინი უმღეროდნენ ახალ ტყიბულს, სტალინურ ხუთწილედს. მე და თემურმა გულიანად ვიცინეთ შაქრო ფურცხვანძისა და ემა ვახტანგაძის მიერ შესრულე-

ბულ იუმორისტულ საესტრადო ნომერზე „ჩერჩილის აღსარება“. ტყიბულის შემდეგ საგარეჯოს რაიონის ბავშვები გამოვიდნენ. ყველა უკმაყოფილო დარჩა მათი გამოსვლით. უფერულად ჩაიარა მათმა პროგრამამ.

— რაც მართალია, — ჩაერია თემური, — ბოლნისელები თუმცა არ ბრწყინავენ, მაგრამ მაინც ცალკეული ნომრები კარგი ჰქონდათ. ასევე ითქმის ლანჩხუთიდან, წითელწყაროდან, ბორჯომიდან, წულუკიძიდან, თეთრწყაროდან და ონიდან ჩამოსულ პიონერებზეც. თიანეთისა და ქარელის რაიონის მოსწავლეებმა კი საგარეჯოელთა ბედი გაიზიარეს.

* * *

უკვე ოლიმპიადის მესამე დღის ანგარიშს აბარებდნენ ვაჟა და თემური თამარსა და შოთას.

— არ მოველოდი სწორედ, — დაიწყო თემურმა, — თუ წაღწევილები ასე გამოვიდოდნენ. ყოჩაღ გოგონებო! ახლაც უვალწინ მიდვანან ჩალისქუდიანი მოსწავლეები, ხელში კალათებით. მოხდენილად, რომ გვაჩვენებდნენ, თუ როგორ სწავლობდნენ, როგორ ეხმარებიან კოლმეურნებს, როგორ ისვენებენ და ერთობიან. თანაც საუცხოოდ მღეროდნენ, ცეკვავდნენ, ლექსებს ამბობდნენ.

ჭიათურელებმა საკუთარი ქალაქის წარსულზე, აწმყოზე და მომავალზე მოგვითხრეს. რა ტკბილი იყო, რა ნარნარა და ამბულელებელი მოსწავლე კავსადის „ურმული“. მთელი დარბაზი აღტაცებით უკრავდა ტაშს, ვაჟა ხომ ძლივს გავაჩერე. გინდა თუ არა, უნდა გავამეორებინათო. გურჯაანელებიდან სრულიად დამსახურებული წარმატება ერგო წილად დეკლამატორ ცისანა ოვანოვას.

კრიმანჭულმა მეტად გაახალისა დამსწრენი; მახარადის რაიონის პიონერების სიმღერებმა და ცეკვებმა ერთსულოვანი მოწონება დაიმსახურეს. განსაკუთრებით მოცეკვავეებს ნათელა ესტავაშვილსა და ბადრი ინგოროყვას ხვდათ წარმატება.

ამ დღის რეპერტუარი აჭარის ასსრ სკოლების მოსწავლეთა გამოსვლით დაგვირგვინდა „ვისწავლოთ, კარგად ვისწავლოთ“, ამბობდნენ სიმღერით დიდი, ბუტაფორული „დედაენიდან“ გამოსული გოგონები. შემდეგ გაიმართა ცეკვა-თამაში. ასრულებდნენ „ლაზურს“, „ხორუმს“, „განდაგანს“...

მეტად ლამაზი და საინტერესო აღმოჩნდა აჭარელთა პროგრამის დასასრული, როცა გაბრწყინებულ სცენაზე დიდი სტალინის უზარმაზარი პორტრეტი ჩამოუშვეს.

* * *

— კარგი, გეყოფა, ახლა მე დამაჯობადა და დავეცემოდე! — კარგი, გეყოფა, ახლა მე დამაჯობადა და დავეცემოდე! — თემური შეჩერდა.

— მეოთხე საღამო ფოთის მოსწავლეებმა გახსნეს. — დაიწყო ვაჟამ, — მზიური კოლხეთის შვილები პიონერებისა და მეზღვაურების ფორმებში იყვნენ გამოწყობილი. ნორჩმა მეზღვაურებმა წითელი ალმებით შეასრულეს თავისუფალი ვარჯიში. შემდეგ გოგონებმა „სამაია“ იცეკვეს. „ფოთის ახალგაზრდობა“ — ასე ეწოდებოდა მათ მონტაჟს.

— კარგი იყო? — იკითხა თამარმა.

— როგორ გითხრა, მეტს მოველოდი. მაგრამ, აი ყვარელელი პატარა ნათელა ციხისთავის საკუთარი ლექსით კი ყველა კმაყოფილი დარჩა. მეოთხე დღეს გამოსულთა შორის კარგი მომზადებით გამოიჩინოდნენ ორჯონიკიძის, ქუთაისის, სამტრედიის, კასპის, წყალტუბოს, ვანის რაიონების მოსწავლეთა თვითმემოქმედი კოლექტივები. წარმატება მოიპოვა სიღნაღის ქალთა 1-ლი სკოლის მონტაჟმა „ჩვენი სამშობლო ახალ ხუთწლედში“.

ვაჟას სახე გაუბრწყინდა, სიამოვნების დიმილმა გადაჰკრა. თემური მიხვდა, რომ ვაჟა ქალაქ ქუთაისის მოსწავლეთა გამოსვლას იხსენიებდა და იმით ტკებოდა.

— მე მგონია, რომ აქამდე ვინც კი გამო-



აჭარის მოსწავლეთა ერთ-ერთი ჯგუფი ასრულებს ცეკვას ხორუმს.

ვიდნენ, მათგან ყველაზე ღირსეული ქუთაისის სკოლების მოსწავლეთა კოლექტივია — სიმღერითაც, მხატვრული შესრულებითაც, ჩაცმითაც, ყველაფრით. ცეკვაზე ხომ, ზედმეტია ლაპარაკი. მაინც რა იყო მათი „ქართული“, ჰა თემურ! ახლაც თვალწინ მიდგას ის წყვილი — ქართულ კაბაში გამოწყობილი ტანწერწეტა ასული და თეთროხიანი ვაჟი. ნარნარი სვლა, რა მოქნილობა! რა სინაზე! რა ვასმები! უკეთესი იშვიათია. ფარიკაობის მონაწილე სამეული კი ვაჟა-ფშაველას პოემებიდან გაცოცხლებულ მეტოქეებს გავდნენ.

აღტაცებული შესცქეროდა თამარი შოთას, შოთა კი თამარს. რა კარგი ყოფილა, რა ჩინებულიო და ნანობდნენ, რომ თვითონ ვერ დაესწრნენ ბავშვთა ოლიმპიადას.

* * *

— შორს ქალაქის ხედი მოჩანს, რომელსაც ამჟამად გადმოსცქერის მრავალქარტეხილ გამოვლილი, აწ კი ბედნიერების მომსწრე გორის ციხე, — ყვებოდა თეიმურაზი გორის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის გამოსვლის შესახებ. — სცენაზე პატარა ბანიანი სახლია. შევხედე თუ არა, ვიცანი, ვაჟამაც ხელი წამკრა, ხომ ვახსოვსო. როგორ არ მახსოვდა, მისი დაფიწყება ჯანა შეიძლება! შარშან კომკავშირის ორგანიზაციამ ექსკურსია მოაწყო გორში. პირველად მაშინ ვნახე ეს სახლი. ჰოდა, ამ საყვარელი სახლის ეზოში შეგროვდნენ წითელყელსახვევიანი პიონერები. ბევრს კომკავშირული ნიშანი უბრწყინავდა მკერდზე. მისასალმებელი სიმღერის შემდეგ, პატარა გოგონამ ლექსი წაიკითხა „ქართლის მიწა“. გაიღო სახლის კარები

და... უცბად სცენაზე ბავშვების ჯგუფი გამოჩნდა. ვხედავთ სოსო, პატარა სოსო წინით ხელში, ტოლბიჭებთან ერთად ცეკვავდა მქუხარე ტამმა. შემდეგ, გოგონებს წიგნის მძაქეტი გაძოაქეთ. ზედ „დედაენა“ აწერია. აქებენ ქართულ ენას, რომელზედაც პირველად დაიწყეს ლაპარაკი დიდმა სტალინმა და დიდმა შოთამ. ლექსები სიმღერამ შესცვალა, შემდეგ ცეკვა გაიმართა.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნით დაიხურა გორელ მოსწავლეთა გაძოსვლა.

შემდეგ დუშეთლები გამოვიდნენ. მათ მოჰყვნენ ახმეტის პიონერები, იმერელი მოსწავლეები ზესტაფონიდან, ზუგდიდელები მიჩქეფარე ენგურის ნაპირებიდან, ამბროლაურელი პიონერები მონტაჟით — „ძველი და ახალი რაჭა“, მოხევეები ყაზბეგიდან, ჩხატაურელი ბავშვები — წარმტაცი გურიის პლანტაციებიდან, „ცერულით“ განთქმული მოცეკვავენი ზემო სვანეთის მაღალ მთებიდან, ხაშურის, ახალქალაქის, ჩხოროწყუს პიონერები და მოსწავლეები.

მრავალფეროვანი იყო ოლიმპიადის ყოველი დღე. საქართველოს რომელ კუთხიდან არ იყვნენ ჩამოსულები!

ოლიმპიადის დახურვის პატივი წილად ხვდათ სამხრეთ ოსეთის ოლქის სკოლების პიონერებსა და მოსწავლეებს, რომლებმაც სასახლოდ გააძარტლეს ეს ნდობა. ხმლებით შესრულებული მასობრივი ცეკვით დასრულდა დიდი სანახაობა, რომელიც ხუთ დღეს გრძელდებოდა და რომელშიც ორი-ათასამდე მოსწავლე იღებდა მონაწილეობას.

ს. ხარაზიშვილი

ფოტო ვ. რუსთაცისა



სოხუმის მოსწავლეები საბალეტო ჯგუფით ასრულებენ ინსცენირებას „წყარო“.

წყაროსთან წყალს სვამს დოდო ზოჯგუთა.



ზაზა პეხვი

მერიან ლახანიძე

ნახატები ა. გიგოლაშვილისა

მოსხრობა *

თავი მესამე

შემოდგომის ბუზი

გამთენიისას ჩქარი, გაბმული ზარის რეკა შემოესმა პაპა კახაბერს. ყალიონის გაწყობას თავი ანება, ხარ-ურემი ტიშკართან შეაჩერა და ყური მიუგდო.

ნაუ! ნაუ! ნაუ!..

ზარის ხმა გაღმა ხეცს მიაწყდა, ისევ გამოღმა გამოვარდა და ჯერ კიდევ მთვლემარე სოფელზე გაიშალა.

ნაუ! ნაუ! ნაუ!..

დილის ბინდ-ბუნდში ჩიტ-ბატონების გუნდი წამოფრთხილდა და გაღმა ყანები-საკენ გალიეღიდა.

პაპა კახაბერმა პირჯვარი გადაისახა.

— ღმერთო, ნუ შემშლი, თუ სადმე ხარ! ჯერ მეორედაც არ უყვილია მამალს, რა ამბავია, ნეტავი, ვინ უნდა რეკდეს ზარს?!

მიატოვა ხარ-ურემი პაპა კახაბერმა, აივანზე ამობრუნდა ბორძიკ-ბორძიკით და ნუნუს ოთახში შეიხედა.

— ბიჭოს, არც ნუნუა სახლში!

ნაუ! ნაუ! ნაუ! — გაისმა უფრო სმამალა და მკვეთრად. აივანზე ნახევრადჩაცმული ელისაბედი გამოვარდა.

— ქალო, უბედურება ხომ არაფერია ჩვენს თავს?

ელისაბედი ბურანიდან გამოერკვა, შეკრთომილებამ გაუარა და სიცილით ჩაიქნია ხელი:

— ეს ზაზას და ნუნუს ოინია; წუხელ ჩურჩულედნენ რალაცას... სწავლა იწყება დღეს, მამა-ბატონო, სწავლა!

* * *

ახლა სკოლის ეზოსთან შეაჩერა ხარ-ურემი პაპა კახაბერმა, სახრე ღობეზე მიაცუდა და გადასასვლელზე გადააბიჯა.

არავინ ჩანს ეზოში, სათემო საყდრის გუმბათს გამოქცეული და სკოლის აივანს-შეფარებული თითბრის ზარი კი გუგუნებს:

ნაუ! ნაუ! ნაუ!

— ეჭვი, რომელი ხარ მანდ?! — გასძახა პაპა კახაბერმა მეორე სართულს.


ზარი წუთით დადუმდა. აივანზე ზაზა, ნუნუ და ხათუნა გადმოდგნენ.

— ჩვენა ვართ, პაპა კახაბერ, ჩვენ!

პაპა კახაბერს თვალი აღარ უჭრის მაინც-დამაინც. ხმაზე იცნო მესხის ბიჭი, თამარის კლდეში ჩაებეჭდა მისი ხმა და რა დაავიწყებს!

— მე ვარ, პაპა კახაბერ, ზაზა!..

*) გაგრძელება. იხილეთ ჟურნ. „პიონერი“ № 6



— ნუნუ თუ არის მანდ, ბიჭო?!

— აქ არის, პაპა კახაბერ, აქ!

აი, დასწყევლოს ღმერთმა, თუ სადმე არის! ყალიონის გაწყობა აღარ დააცალეს მოხუცს. სკოლის კბეზე მოისკამუნჯა და გაჭრა ტალკვესს.

უცებ ეზოში გოგა, შაქარა და ხუთიოდე გოგონა შემოვარდა ყიყინით.

— აქ ამოდით, აქ! — ჩამოსძახეს ზემოდან.

— ახლა შაქარა რეკს ზარს, სხვები რიგში დგანან.

ეზო მოწაფეებით ივსება. აგერ სასწავლო ნაწილის გამგეც მოსულა — თინა მასწავლებელი.

— ხათუნ, აბა ახლა დაირა ვააჩადე!

ახლა უკვე ზაზა, ნუნუ, შაქარა და კიდევ ცხრა ერთმანეთში გახლართული ხელი ეწევა ზარის საბელს, ეზოში კი დავლური გუგუნებს.

ღობეზე ნოდარის ნაცრისფერი კოვერკოტის ხალათი გადმოეფინა.

— ნოდარს დაუძახეთ, ნოდარს! — ილიმება ზაზა და გოგონებს ანიშნებს.

დაუშვილმა ჯიბეებში ხელები ჩაიწყო და განაპირდა.

— ესეც ბეღია! — გაიფიქრა ნოდარმა, — მე რომ წამომეწყო ეს საქმე, ალბათ ერთი მოწაფეც არ შემჩრებოდა ხელში, ახლა კი, დახე რა დღეში არიან, ლამის არის დირექტორმაც იცეკვოს და პაპა კახაბერიც ააცეკვოს.

კიდევ კარგახანს გუგუნებდა სიმღერა და დაირა, მერე სკოლის დირექტორმა საათს დახედა და ზაზას ანიშნა, — ახლა ნამდვილად დაჩეკო ზარი.

ეზო გაყუჩდა.

ზაზამ კბეები აიარა დინჯად, საბელს მისწვდა და სამჯერ ჩამოჭრა ზარს — მძლავრად, აუჩქარებლად და მკაფიოდ.

ნაუ, ნაუ, ნაუ!..

თიბათვე და აგვისტო სამხრეთისაკენ გაფრინდა, აღმოსავლეთით სექტემბერი გადმოდგა...

— პირველი გაკვეთილი საუბარს ეკუთვნის, ბავშვებო! — თქვა პირხმელმა და მალაღმა, ერთი შეხედვით მკაცრმა ახალგაზრდა კაცმა, როცა სასწავლო ნაწილის გამგე საკლასო ოთახიდან გავიდა. — მამ ასე, ჩემი სახელი შალვაა, სვანიძე ვარ გვარად. პირველად ვარ თქვენს სკოლაში. დღეიდან თქვენი ისტორიის მასწავლებელი ვიქნები, კიდევ მეტიც — თქვენი კლასის დამრიგებელი...

კლასი შეიმუშნა; გოგონებს ისევ ქეთო დამრიგებელი ერჩიათ. მკაცრი და ცივი ჩანს

სვანიძე. ბიჭები კი გახარებული არიან, იცნობენ შორიდან, მის შესახებ ბევრე კარგი გაუგონიათ — მთელ ზაფხულს აქედნევიდა, გიორგი ავრონომის ნათესავია, ახალი დაბრუნებულია არმიიდან.

— მეცხრე კლასი საპასუხისმგებლო კლასია საშუალო სკოლაში! ეს წელიწადი გადაამწყვეტი წელიწადია! — განაგრძო მასწავლებელმა, — ბევრი რამ არის დამოკიდებული მონდომებაზე და შრომაზე, იმედი მაქვს, არ შეარცხვენთ დამრიგებელს.

კლასი განაბულა და აკვირდება მასწავლებელს. „ეს წელიწადი გადაამწყვეტი წელიწადია!“ — იცნობს ზაზა ამ სიტყვებს. აი, ამ წუთში, მერვე კლასშიც ასე ხატაეს ქეთო მასწავლებელი: „ბავშვებო, ეს წელიწადი გადაამწყვეტი წელიწადია!“ ასევე სჯიან ახლა მეშვიდე კლასშიც, მეექვსეშიც და თვით მეხუთეშიც... იცის ზაზამ, იცის, რომ ყველა წელიწადი გადაამწყვეტია; თერთმეტი წელიწადი ბაღვა ცხოვრებისა, ჩაიშლება ერთი თვალი და ჩაწყდება ბაღვა, ჩაწყდება და ოქრო-ფორეჯა სინათლე-თევზი ბოლოს ცხრა მთას იქით მოიქნევს. ამიტომ სკოლაში მიღებული არ ყოფნის მესხის ბიჭს, სახელმძღვანელო არ ყოფნის, ეძებს, ქექავს, იპოვნის, ჩაეჭიდება, თავს აქეზებს და სხვა-საც აქეზებს:

— ბიჭებო ამ საღამოს ჩემთან მოხვალთ, „პორტ-არტური“ ვიმოვნე!

ხუთიოდე დღეში ჩაუბუღბუღებს; ბიჭებს დააბრუებს, გოგონებს დააოცნებებს, ორიოდე დღეს განმარტოვდება და მერე ისევ:

— წიგნი მშქეს რეპინზე...

დრო და დრო ნუნუსაც წაეშველება; ტრიგონომეტრიულ ამოცანებს ამოახსნევიდა, ჩქარა მიახვედრებს, რომ ფერმკრთალმა გოგონამ განთიადამდე არ შეაკლას თავი, კიდევ უფრო მეტად არ გადაყვითლდეს და... და იფურცლებიან „გადაამწყვეტი წლის“ ფურცლები.

ღვინობითვე და ფოთოლცვენა...

ერთ დღეს, დიდ დასვენებაზე ხათუნამ ნოდარი დაიმარტოვა.

— რა გინდა, გოგო!

— არაფერი, ისე, ლაპარაკი მინდოდა შენთან...

— ჰო, თქვი ბარემ!

ხათუნამ ვაბედა:

— ნოდარ, რად არ შედიხარ კომკავშირში? ნოდარი აიღრინა:

— რადა? რა შენი საქმეა, გოგო, ვინ მოგავაზენა?

ხათუნა აენტო:

— მე არავის შუამავალი არა ვარ, გკითხე

ამხანაგურად, შენთან კი, თურმე, ლაპარაკიც არ შეიძლება!

ხმამალალი ლაპარაკი რომ გაიგონეს, მოწაფეები მოგროვდნენ.

— გასწი მეთქი, გოგო, დამეკარგე აქედან! გაჭარხლებულმა ხათუნამ ამხანაგებს გადახედა და სხაპასხუპით დააყარა:

— მე ვიცი, რადაც არ შედიხარ! — კომიტეტის მდივანი ზაზაა — როგორ თუ მან უნდა მიგიღოს კომკავშირში! თაკილობ კიდევ, კუდი ყაუარზე გაქვს გადებული!..

სწორებმა სიცილი ვერ შეიკავეს. დაუშვილს გულზე ცეცხლი წაეკიდა — მიუხვდნენ!

მთელ დღეს ზიდა ყურძენი ზაზამ. თავისი ადრე ჩამოათავა და ახლა პაპა კახაბერს შეაშველა ურემი.

ციცქა, ბუდეშური, ძელმავი, ხარიტვალა და ფრანგულა... ათასფერი მარცვალი, ზედ თავისივე ფერის მსუბუქი ლიბრი, — ნიავის წამობერვაზე რომ წაიშლება, სინათლე რომ გასუონავს და წვრილი კურკა გამოჩნდება...


წინა კვირას სიმინდობა ჩამოთავდა. დღეს რთველი იწყება. რა სიმინდი იყო ის დალოცვილი! ცხენოსანს დამალავდა, მკლავის სიმსხო ოთხ-ოთხი ტარო დასტოვა თითო ძირმა, კოლმეურნეობის ბელოებმა რომ ვერ დაიტყეს, სამ დღეს კალოზე იდგა სიმინდის ზვინები. ბერიკაცებმა თქვეს: ოცი წელიწადია ასეთი სიმინდი არ გვინახავსო.

კვირა დღეა. სკოლის ეზო სდუმს. დაყვითლებულან ვენახები, ჭრიალებენ ურმები, დიდ-პატარა ურემს ასდევნებია, ყიფინებენ ახალგაზრდები, ღიღინებენ კახაბრები...

424



საბავშვო ლიტერატურის
სამხარეთო ცენტრი
თბილისი



რა ყურძენია?! — დასახატია, დასახატი, მაგრამ ფერებს სად იპოვნის!

უკანასკნელ გზობაზე ვანია კოსკასიანი შეეჩეხა ზაზასა და ბერიკაცს. ფოსტალიონი უნდოდა ჰკენკავდა ძელშავის ჩხას, უტყობოდა მოჰყირჰებოდა. ზაზას დანახვაზე ხელი გაშალა:

- სამახარობლო მეთქი, სამახარობლო!
- ვისგან არი?! — გაიხარა ზაზამ.
- აბა, მიხვდი!
- მოსკოვიდან იქნება!

— მიხვდი, აგრეთ! რუსულად აწერია, ალბათ იმ გოგოსგანაა, ერთად რომ ხართ სურათში, ეს მეორე კი უჩა ჯაფარიძისგანაა... კოსკასიანმა აბგა გახსნა და ზაზამ ძლივს ააცალა ბარათები ყურძენით გატყობილულ მის თითებს.

ურემები მარანთან მიაცენეს. ზაზას სულმა წასძლია და ბარათი გახსნა. ნუნუმ მეორე ბარათი გამოსტაცა და კონვერტს ნაპირი წაახია. ბარათიდან სხუთთუმიანი ამოიწვერა.

— ზაზა, რას ნიშნავს ეს ფული?!

ზაზას ეწყინა ფულის უკან გამობრუნება. ზეთის საღებავებისათვის გაუგზავნა მოსკოველ მეგობარს.

— წაიკითხე ნუნუკა, წაიკითხე!

მეგობრები კიბეზე ჩამოსხდნენ. წაიკითხეს და ამოიყვანეს — მოკითხვა, ნახვისნატვრა და სიყვარული...

საღებავები გამოგიგზავნე, საიმისო ფული მე თვითონ მქონდაო. საახლოწლო არდადეგებზე მოსკოვში თუ გვინახულებთ, მოხარული ვიქნები, ბარათი წინასწარ მოიწერეთ — დაგხვდებითო...

ჩაფიქრდნენ.

ნუნუს პიონერთა რესპუბლიკური შეკრება გაახსენდა: გორის სახელმწიფო თეატრი, მერე ცადავარდნილი კოცონი ვერხვიანში ლიხვის პირას და გოცებულნი, გაბრწყინებული თვალები სტუმრად მოსულ ტანიასი...

ბელადის სახლის აივანზე სურათი გადაიღეს მეგობრებმა; შუაში ზაზა ჩაიყენეს ნუნუმ და ტანიამ.

— ზაზა, ამანათისთვის ფიცარი დათაღე?!

— დავთაღე. პო, მართლა, აბა წამო, პაპა კახაბერს ვკითხოთ, რომელი ყურძენი ჯოგს გასაგზავნად!

მეგობრები ხელიხელჩაკიდული გაიქცნენ მარნისაკენ.

უჩვეულო სიჩუმე ჩამოწვა კლასში მესამე გაკვეთილზე. დღეს პირველი მეოთხედი დასრულდა. გაკვეთილების შემდეგ ნიშნებს გამოაცხადებენ. შალვა-დამირეგბელი არასოდეს უნახავთ ასე ადევლებული. რას უნდა

ნიშნავდეს! კუთხიდან კუთხეში დადის და სიტყვას ეძებს.

ნეტა, რა დააშავა მეცხრე კლასში მოწაფეებმა ვერაფერი ამოიხსნეს მანეთის თვალეში, კედლებზე შემოატარებენ მზერას, მერე ისევ ერთმანეთს უტყერენ და, ბოლოს, ოცდაათი წყვილი კელაპტარი შამის ბადალ კაცს მიაბრწყინდებან.

ფანჯარასთან შეჩერდა სენანიძე და თვალი გაუშტერდა. მერე, უცებ, რაღაც გადასწყვიტა და კლასს მოუბრუნდა:

— დაუშვილო, ადექ ზეზე!

თითქოს ადუღებულ ქვევრს სარქველი მოჰხადესო, ოცდაათმა მოწაფემ ერთხმად ამოისუნთქა და ოცდაათი წყვილი თვალი ახლა ნორარს მიებჯინა.

დაუშვილი შეკრთა, მერე ზღაზვნით წამოიმართა და გაკვირვებული თვალები დამირეგბელს მიაშტერა.

სენანიძეს გულზე უკბინეს უტიფარმა თვალებმა. დამირეგბელმა წარბი წარბზე გადაიბა, თვალებით გასჭვალა და მანამდე არ მოეშვა, ვიდრე დაუშვილმა თავი არ დახარა.

ახლა, მარცხნივ მიიღო პირი დამირეგბელმა:

— ზაზა, მიდი, ჩამოართვი ხელი!

კლასმა ერთხელ კიდევ ამოისუნთქა ერთი კაცივით. ახლა ყველასათვის ნათელია, თუ რად არის განარისხებული შალვა-დამირეგბელი; სამი თვეა ემდურთან ბიჭები ერთმანეთს. ეს ამბავი ორიოდ კვირის წინ შეიტყუა სენანიძემ, არაფერი თქვა. — შერიგდებიანო ჩაურევლად, ახლა კი...

— შერიგდით! — წარმოსთქვა დამარცვლით და დამაჯერებლად.

— მე არც დამედურებივარ, თვითონ მერიდება. — ჩაიდუღუნა ზაზამ. პირი გაუშრა, თვით გაუკვირდა თავისი — ნეტა რამ გაუწვრილა ხმა! მერე მერხების შუა მწკრივს გვერდი აუქცია, მასწავლებლის მაგიდას შემოუარა, შუბლშეკრულ დაუშვილოს დიდი, თაფლისფერი თვალები შეანათა და სხუთი თითი თითქმის ძალით ჩასჩარა მერხის სახელურზე დაყრდნობილ ხელში.

— აგრე, აგრე, ვაშა! შერიგდნენ, შერიგდნენ! — იხუფლეს ბიჭებმა. გოგონები ფეხზე წამოკვივდნენ, ხათუნას და მზიას ტამიც წასცდათ, დამირეგბელს ყრუანტელმა დაუარა და ღიმილი გაეხსნა უნებურად, მაგრამ...

მაგრამ მოხდა ის, რასაც არავინ მოელოდა: დაუშვილმა საკოცნელად მიღერილ ტუჩს ცაცია შეაშველა, მარჯვენა ხელი ზიზღით გამოსტაცა, და გოგონა თავი მკერდზე დაიბჯინა.

კედლებზე დუმილი აფარფატდა.



ჭერიდან უზარმაზარი შემოდგომის ბუხი ჩამოვარდა, გაჯავრებული ზუზუნით ეკვეთა სარკმლის მინას და იატაკზე დაენარცხა. დერეფანს ზარმა ჩაუწყვილა.

* * *

იმ დღეს, გაკვეთილების შემდეგ, ნიშნების ფურცლები დაარიგეს. სკოლის დირექტორმა მეოთხედის შედეგები შეაჯამა; ზოგ კლასს უსაყვედურა, ზოგი აქო, მერე მოიღრუბლა და საათნახევარი ილაპარაკა დაუშვილზე.

როცა დაიშალნენ, მზე ჩადიოდა. ბავშვები გუნდ-გუნდად მოდიოდნენ შარაზე და საუბრობდნენ.

ზაზა გადასახვევთან შეჩერდა.

— წავიდეთ ჩვენთან, ამანათი შევკრათ. — თქვა ნუნუმ.

ბიჭი გამოერკვა, მეგობარს ნაძალადევად გაუღიმა, ხელი მოჰკიდა პატარა, ფერმკრთალ მაჯაზე და მზეს ახედა.

— ზაზა, წამოდი ჩვენსას! — შეეხვეწა ნუნუ.

— მოვალ, ახლავ მოვალ, დედას ვნახავ და ათ წუთში შენთან გავჩნდები.

— გელოდები, იცოდე!

კალოკართან, დაბმულმა ცხენმა შემოსჭიხვინა ზაზას. ქერს მიირთმევდა „შავი მერცხალი“. უნაგირი და მოსართავეები ღობის სარზე გადმოეკიდნა ქერივს. ახლად გაახსენდა ზაზას, ძია უჩასთან აპირებდა გამგზავრებას მეზობელ სოფელში.

— მოდი, შეილო, მოდი, სამხარი გაგიცივდა, დროით წადი, არ დაგიღამდეს, ბებიაშენი დამიკოცნე და უთხარი, ნუ დაგვივიწყებს.

ორლობეში „შავი მერცხალის“ ლამაზი თავი გამოჩნდა სარებს ზემოთ: ნუნუ ყორეზე გადმოდგა. ზაზამ ცხენს თავი შეუკავა.

— მიდიხარ, ზაზული?!

— მივდივარ, ნუნუ!

— „ლახტური“ რაღა უყავ, სადა გაქვს?!

— ხურჯინში მაქვს, დავახვიე და ისე ჩავლე.

— როდის მობრუნდები?!

— ხვალ კვირადღეა, ორშაბათს აქ გავჩნდები. ჰო, მართლა, კაკლები არავის დააბერტყინოთ, გადმოვალ და ჩამოვბერტყავ. ორლობეში შედაუბნელმა ქალებმა ჩაიარეს. ზაზამ ცხენი მოაბრუნა.

ნუნუმ თვალი გააყოლა, მერე რაღაც გაახსენდა:

— მოიცა, ზაზა, მოიცა, ახლავ მოვალ!

ბელლის კარი გამოაღო და სამი დიდი თაფლისფერი ჩურჩხელა გამოარბენინა.

— წაიღე ზაზული, წაიღე, თავს შეიქცევ გზაში!

ზაზამ გამოართვა და ხურჯინში შეინახა უსიტყვოდ, მერე მადლობა უთხრა თვალე-

ბით, ცხენს მათრახი დაჰკრა და შარაში ქველი ღორღი აიყოლა.

უცებ, მოსახვევში, დიდ მუხასთან, დაუმვილი აისვეტა. ზაზას არ ეამა, აღვირს მოსწია და ცხენი სამ ნაბიჯზე გააშეშა.

დაუშვილი სიტყვას ეძებდა, ეტყობოდა ველად.

— ჩამოდი ცხენიდან! — თქვა ბოლოს.

— ჩამოდი მეთქი! — გაიმეორა დამხდურმა, როცა მხედარმა წარბი წარბზე გადაიბა.

— ვითომ რატომო. — გაიღიმა ზაზამ, — შეჯდომას ხომ არ ინებებ? — მერე მოხდენილად გადმოხტა და აღვირი გაუწოდა.

უშოლთელი გაგიჟდა. წუთით საერთო კალოს ტიშკარმა გაუელვა თვალწინ, მერე გოგონების შეშინებულმა თვალებმა და ტიშკარში უშიშრად ჩამდგარმა ზაზამ...

სწორედ ასე ხელგაშლილი იდგა ზაზა მამინ, ოღონდ წარბი ჰქონდა შეკრული, ახლა კი იღრმებდა...

— რას იცინი, ბიჭო?!

— რა მაქვს სატიროლი?!

— ვის ელაპარაკებოდი, აგერ, იმ ყორესთან?!

— განა შენ არ იცი? ნუნუს!

— ქალაჩუნა ხარ, გოგოსთან მეგობრობ!

ქალაჩუნა? ქვეყნად სულიერს არ უკადრებია მესხის ბიჭისათვის ქალაჩუნობა! გაგიჟდა, აკანკალდა... მერე მაინც გული დაიოკა.

— ბიჭო, რად ვარ ქალაჩუნა! ბიჭი ვარ მეთქი, ბიჭი! ნუნუ კი... დაა ჩემი!

— დაა შენი?! იყო! ოღონდ ჩემს ძაგებს თავი დაანებეთ! მე მინდა ვიცოდე, რას ლაპარაკობდით!

უშოლთელს თვალები აემღვრა, სუნთქვა შეეკრა და ქამარი გაისწორა:

— მიგთეთქვავ ამ წუთში!

— ნოდარ, — წარმოთქვა ათრთოლებულმა ზაზამ, — ჩემს გზაზე მივდივარ, დამეხსენი მეთქი!

„დავაძაბუნე“ — გაიფიქრა დაუშვილმა და ხმას აუწია:

— დღეიდან თავს დაანებებ ქალაბიჭობას, გოგოებთან ლაყობას და ჩემს კილვას, თორემ მათ თვალწინ მიგთეთქვავ!

კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდა; ზაზას არ უყვარს აყალ-მაყალი, ხმაც იმიტომ აუთრთოლდა და იმისათვის დაუყვავა ნოდარს, ახლა კი თავში სისხლი აუფარდა:

— თავქვას ახლი, ნოდარ, თავქვას ახლი მეთქი!

დაუშვილმა მუშტი მოუღერა. ზაზა განზე გადგა. ნოდარმა ისევ მიიწია გულდაგულ. მეტი გზა არ არის, ზაზამ მოქნეული მუშტი



აიციდინა, მარჯვენა მკლავში სწვდა, კისრულთ წამოიღო, შუა გზაში გაშლართა, ზემოდან მოექცა და აბრეშუმის ხალათზე გარედან შემოჭირებულ ფართო ქამარს მოხსნა დაუწყო.

შეშფოთდა დაუშვილი, ხელი იტაცა ქამარზე, მაგრამ უმალ გააშვებინა მესხის ბიჭმა.

წაქცეულმა ბევრი ასხმარტალა ხელ-ფეხი — ვერაფერს გახდა. უცებ მაჯაში სწვდა ქვემოდან და უკბინა.

ზაზამ ხელი შეუშვა წუთით და ირგვლივ მიმოიხედა.

არა, უნდა შეჰკოჭოს უსათუოდ! კბენის

შემდეგ ყველაფერი მოსალოდნელია. ბათ ქვის სროლასაც აუტეხს ცხენზე დომისას!

მკლავები გადაუგრიხა და ზურგს უკან ფართო ქამრით გაუკრა. საქმე გაადვილდა, ახლა შიდა ქამარი მოხსნა და ფეხებიც შეუკრა ყოველშემთხვევისათვის.

გაკვირვებული „შავი მერცხალი“ ყურდაცქვეტილი უყურებდა სვირს.

ცოტა ხნის შემდეგ სერზე გადმოდგა და შესჭიხვინა. მერე შუა გზაში გამოტილს მხედრის ხმაც ჩამოესმა:

— მაპატიე, ნოდარ, მაპატიე, ჩემი ბრალი არ არის!

(გაგრძელება იქნება)



ტყე მახათაზე

მახათას გორავ, უდაბნოს ცალო,
გორავ ხრიოკი ველის ფერისავ!
უნდა მთლიანად გამოიცვალო
ჩენი ეპოქის შესაფერისად.

მახათას გორავ, ქარების კერავ,
თბილისის გვერდში მოწყენით მდგარო,
იორი მწვანე ქათიბს გიკერავს,
მკერდს აგიყვავებს სიცოცხლის წყარო;

დიდ სამგორიდან, ჩანჩქერის დენად,
მოგევა ივრის ნაკადის ჟღერა,
იგი ტყის ფოთლებს ჩაგიდგამს ენად,
შენს გასახარად და ასამღერად.


აჩქედებიან მადრევენები,
ბულბული ბულბულს გასძახებს ტკბილად.—
მშვენიერება, მწვანე მკლავებით,
ჩაგიკრავს გულში, დღემდე მდგარს მწირად.

ზღვად შემდგარ სუფთა ივრის ტალღებში
ანცი ნავები შეცურდებიან,
იგივე ტალღები ღამ-ღამ სახლებში
ელნათურებად გაბრწყინდებიან...

მახათა, სავსე ყვავილ-მწვანეთი,
შემკული ხალხთა დასასვენებლად,
იდგმება დედა-თბილისის გვერდით
დიდ სტალინური ეპოქის ძეგლად!

ი. გვილინი





კრავები წყაროსთან

კორღზე საღამოს ნელი სიოს ჩურჩული ისმის,
ცაზე აქა-იქ გაიშალა ღრუბლის კარვები,
მთის ფერდობებზე, ჩიგვნარებში, ისვენებს ნისლი
და წყაროს თავზე ნაცოხრობენ თეთრი კრავები.

იმატა ბინდმა, მწკერვალეებზე ღრუბლები დასხდნენ,
მერე უეცრად აყმუილდნენ სადღაც ტურები;
ჩამოირბინეს, ჩაუჭროლეს კრავებმა ცაცხვებს
და შარას დარჩა მათი ჩვილი ნაფეხურები.

როცა წისქვილთან გადმოლახეს ჩქარი მდინარე,
გული მოეცათ, შემოესმათ ძაღლების ყეფა.
სოფელში რისლა ეშინოდათ მარტო პატარებს,
შუქი ენთო და სიხარული სუფევდა ყველგან.

პალვა შორჩხიძე



მოსწავლეთა სპარტაკიადა

მეტად საინტერესოდ ჩატარდა საქართველოს მოსწავლეთა პირველი სპორტული სპარტაკიადა. ოთხი დღის განმავლობაში (4—7 ივლისს) ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს სკოლებში გაწრთვნილი და სპორტს კარგად დაუფლებული მოსწავლენი. შეჯიბრება სწარმოებდა 1948 წლის პირველობაზე როგორც ცალკეულ ახალგაზრდა სპორტსმენებს შორის, ისე სპორტულ გუნდებს შორის.

თბილისელ ახალგაზრდა სპორტსმენების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ სპარტაკიადის პირველ დღიდანვე გამოიჩინეს უპირატესობა და სპორტის ყველა დარგში პირველობა მოიპოვეს.

ტანვარჯიშში წარმატებით გამოვიდნენ აფხაზეთის ახალგაზრდა სპორტსმენები. მათ დააგროვეს 302,60 ქულა და მეორე ადგილი დაიკავეს. ქუთაისელმა ახალგაზრდა სპორტსმენებმა არანაკლები წარმატება გამოიჩინეს—302,20 ქულა დააგროვეს, რის გამოც მესამე ადგილი ერგოთ. ასევე მძლეოსნობაში მეორე ადგილი დაიკავეს აფხაზეთის ახალგაზრდა სპორტსმენებმა და მესამე ადგილი—ქუთაისელებმა.

ფეხბურთში დასკვნით შეჯიბრებაში დიდი წარმატება გამოიჩინა თბილისის ვაჟთა 35-ე საშუალო სკოლის გუნდმა. მან თბილისის ნაკრებ გუნდს მოუგო ანგარიშით 4 : 1 და დაიკავა პირველი ადგილი.

რბენაში ახალგაზრდა სპორტსმენების მიერ დამყარებულია რამდენიმე საკავშირო და რესპუბლიკური რეკორდი. ამ მხრივ აღსანიშნავია თბილისის 22-ე საშუალო სკოლის მე-9-ე კლასის მოსწავლე ნადია ხნიკინა*. მან 200 მეტრი მანძილი გაიბრძინა 26,7 წამში, ხოლო 400 მეტრი მანძილი—61 წამში და ამით რბენაში დაამყარა ორი საკავშირო რეკორდი. ამავე დროს, ნ. ხნიკინამ დაამყარა ერთი ახალი რესპუბლიკური რეკორდი—60 მეტრი მანძილი მან გაიბრძინა 8,2 წამში.

თბილისის ვაჟთა მე-11-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ ნოდარ დევდარიანმა ურო სტეპორცნა 38,02 მეტრზე და ჭაბუკთათვის მძლეოსნობაში დაამყარა ახალი რესპუბლიკური რეკორდი.

თბილისის ქალთა მე-20 სკოლის მოსწავლემ მერი ქოჩლაძემ რბენაში დაამყარა ახალი რესპუბლიკური რეკორდი უფროსი ასაკის გოგონებისათვის—მან 200 მეტრი მანძილი გაიბრძინა 27,2 წამში.

წარმატება მოიპოვეს ამანატორბენაში თბილისელმა გოგონებმა ნიკოლაი-შვილმა, გოგიტიძემ, ხნიკინამ და ჩანდარელმა. მათ ესტაფეტა 4×100 მეტრზე (თვითეული სპორტსმენი გარბოდა 100 მეტრს) გაიბრძინეს 54,3 წამში.

ახალი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა ხელყუმბარის ტეორცნაში სვანმა ახალგაზრდა სპორტსმენმა ი. ცეროდინამ.

შერჩეულ იქნა ახალგაზრდა სპორტსმენთა რესპუბლიკური ნაკრები გუნდები. ისინი სათანადო საწრთვნელი მეცადინეობის შემდეგ მონაწილეობას მიიღებენ ახალგაზრდა სპორტსმენთა საკავშირო სპარტაკიადაში საკავშირო პირველობისათვის.

*) სურათი იხილეთ ვარკიანის მე-2 გვერდზე.

ბერიკატის ნაამბობი

პოემა

ქარლო ქალაქი

ნახატი ელ. ახვლედიანისა

თუმცა უკვე მყინვარით
დათოვლილი მოხუცი ვარ,—
ნისლით როდი ვიფუთნები,
მყინვარით როდი მცვივა!

წამწამსა და წამწამს შუა
ცეცხლი გამიჩაღებია, —
საამოდ და საღიმითოდ
თქვენთვის დამიძახებია...

შემოვუსხდეთ ბუხარს ორგვლივ,
ზამთრის მყუდრო საღამოა,
ყრუ ეზოდან, სადაც არის,
ჩვენი ყურწამაც აქ ამოვა, —

დაისვენოს, დაჯდეს აქვე,
სადრენად რომ გაბასრულა...
დავისვენოთ ყველამ ერთად, —
დღე ვინც შრომით დაასრულა;

უქმად არც მე მიცხოვრია, —
დღესაც აღისფერი მაძევს,
ეს ცხოვრება ხელისგულზე
გვიწერია ბერიკატებს!

ლაღად ვუმზერ შეილიშვილებს,—
წუთიც არვინ გააცდინა,
ჩემი ორად-ორი მკლავი
შვიდ კეფაზე გადაწვდილა...

სიცოცხლე და გამარჯვება
არჩილსა და ყურცქვიტ ალეს, —
სწავლის შემდეგ ვაჟაკურად
ტყიდან ფიჩხი მოიტანეს!

ჩვენმა წყნარმა თამარ-ქალმა
სახლი მორთო საამურად,
მშაბ დილით აიფინიდან
ფრინველები დააპურა.

გივიმ სახლის დათოვლილი
სახურავი გადასრილა, —
ჩემთან ერთად ივაჟაკვა,
ჩემსავით კი არ დაღლილა!

ხელოსნობდა შინ გურამიც,
თუმცა მხოლოდ შვიდის არი,—
ჩემთვის ჯოხი გამოთაღა
და თავისთვის მშვიდღისხარი.

ხოლო თინამ, პაწაწინამ,
გულიანად გაგვაციინა, —
წყაროზე რომ მივდიოდით,
კარებამდე გაგვაცილა.

შრომისა და სწავლის შემდეგ
ლხინი ყველას უხარია
და აქ, ახლა, ჩვენთან ერთად,
რომ ლულუნებს—ბუხარია!

ახლა როცა თქვენ გიცქვრით,
სიყმაწვილე მეც მეტკბილა
და გიამბობთ რაც გადამხდა,
როცა ვიყავ თქვენი კბილა.

ამ ნათელ დროს მეც მოვესწარ,
მაგრამ სულ სხვა ბედისა ვარ,—
აქ, შვიდთავემ წლოვანება
რომ შეკრიბოთ,—მეტისა ვარ!

ქვეყნად ისე შემოვდი, —
როგორც გლეხის კალთით ქარი,
ისე, როგორც ახლა ყურწამ
შემოაღო თათით კარი.

როცა ვიყავ თქვენი კბილა
და თქვენსავით აქოჩრილი,
უკვე მქონდა ხელისგული
მძიმე შრომით დაკოჭრილი;

მაგრამ ჩემდა საამებლად
აეკრძალა ხესაც ჩირდილი...
მე უთქმელი ბიჭი ვიყავ,
ხიობლეში გამოზრდილი.

ყური მივღეთ, მზაასავით
მოქარგული არ მაქვს ენა,
ეს ამბავიც ალაღბედად
ახლა ყურწამ გამასხენა...

ჩვენში, თავად ანდუყაფარს
ჰყავდა, მახსოვს, ერთი ძალი.
ყეფით მუდამ თავადივით
აკლებული ჰქონდა სახლი.

სულ ასეთი ფერის იყო
ის კულმოკლე და შავყურა, —
ხშირად სოფლის ფრინველებსაც
კბილს გაჰკრავდა ყაჩაღურად!

ვისვენებდით, თუ ბატონი
სანადიროდ წაიყვანდა...
მე მათ კარზე ბიჭად ვიდექ
და არცერთი არ მიუვარდა.

დასაწყევლი ახლაც მისი
მოსირმული წაოუბა.—

ფერხთით ვყავდი, რომ ჩიბუნის
ცეცხლი გამეჩაღებია!..

რა კი ეზოს ვასცდებოდა,
თვალს მიხედა კართომა სხვისი, —
სოფლად ყველა ბავშვს ესმოდა,
მამალივით ვინა ჰყავის, —

ვიხელთებდი დროს და მინდვრად
მათთან ერთად ვთამაშობდი,
მაშინ სტვენა-გალობაში
ქვეყნად ყველა ფრინველს ვჯობდი!



ვთამაშობდი... მაგრამ მალე
სიხარული წყენალ მექცა, —
ტყვიდან ერთხელ მონადირეს
მეტებარი გამოექცა!

ამაო და უქმი კაცი
ჩანს, ჩვენსავით მასაც სძულდა
და შინ ჩემდა სავალალოდ
ამრეწილი მოძუნესულდა.

რა შესცვლიდა ანდუყაფარს!
კარზე ყოფნა არ მაკმარა,
ამის შემდეგ სანადიროდ
მე დავეყავი წარამარა...

მართლაც, ტყეში მისი ყოფნა
გასაოცრად ჰგავდა ზღაპარს:
ფოთოლიც არ შეუკრთვია
თოფის სროლით ანდუყაფარს.
დაგვხვდებოდა ხშირად ჩხიკვი,
ჟინს მალლიდან გვიღვიძებდა,
თოფს ვესროდით,—ის კი ისევ
ხევში გადიკისკისებდა!

თავს გვეხვივნენ ნარჩიტებიც,
თითქოს ნახეს გასართობი:
დასხნდებოდნენ ნარზე მწყრივად,
იფთქებდა ჩვენი თოფი.
და ეკლებში იმათ ბუმბულს
დაოთხილი დავეძებდი,
ტანსაცმელი დამეფლითა,
თვალს ამაოდ ვაცეცებდი...

კიდევ კარგი,—ანდუყაფარს
რომ უყვარდა ჩრდილქვეშ წოლა,
მაგრამ აქაც საარაკოდ
გრძელდებოდა ჩვენი ბრძოლა:
ხიდან ციყვი საგანგებოდ
ჩრქოს გვესროდა, გეფიცებით...
ანდა ყვავი დაგვჩხავლებდა
უცებ ფრთებზე ფრთების ცემით!

ძნელი იყო, მაინც, თავადს
თვალი რომ არ მიეღულა,
ელვარებდა მუხის ტოტზე
დაკიდული თოფის ლულა!

თოფის ლულა!—სასაცდლოდ
სხვა სურათი რაღად მინდა,—
ჩემი თვალით ვნახე, როცა
მას ჭიფჭავი დააფრინდა!

მაშ, მძინარე მონადირეს
თვალი თქვენც არ ააცილოთ,—
მცონარეს და ხელმოცარულს
ვინ არ გახდის სასაცილოდ.

ნეტავ, მაშინ მეც თქვენსავით
თავისუფლად მეგრძნო თავი
და მის ხელთ არ ვყოფილიყავ
გულხის ბიჭი საცოდავი.

ბიონერულ სიმამაცით
შევძახებდი უმალ: „კმარა!
უთავბოლო ხეტიალმა
ძალზე მეტად გამამწარა!“

სხვა დრო იყო. მიმხვდებით
სამართალი რად არ სჭირდა,
იმის სქელ ღიბს ჩემი ბრკული
ძილშიაც ვერ გაფხაჭნიდა!..

შო და ასე ნაწამები
ვბრუნდებოდი ერთხელ შინა,
სადღაც დათვი მოგველანდა,
მგონი იმან შეგვაშინა.

ვბრუნდებოდი, გადმოვკერით
მინდორი და შემდეგ ყანა,
სოფელზე რომ გადმოვედით,
წინ კაქკაქი შეგვეყარა.

თავმომწონედ შეემართა
შავი კული გრძელზე-გრძელი,
შავი მკერდიც უხვებოდა
და თოვლივით თეთრი წელი.

ავუქშიეთ,—არ აფრინდა,
ვესროლეთ... და ავაცდინეთ! —
ისე როგორც სულ ყოველთვის,
ისე როგორც ამასწინედ!

ჯავრი ჰკლავდა ანდუყაფარს,
ქვას დაავლო უცებ ხელი,
ესროლა და ფრთა მოსტეხა,—
ვნახე საქმე საკვირველი!..

წლიდან-წლამდე გაუზიღებულს
გაუბრწყინდა სახე მეტად,—
მოვიყვანეთ შინ ფრინველი
შეპყრობილი ალაღბედა!

სიყვარულით, დიდი ზრუნვით
მალე კიდევ მოვარჩინეთ,
შუშაბანდი ერგო ბინად
და მე ჭირის მონაწილედ!

მე ვუვლიდი. ტოლებივით
ერთმანეთის ხმა გვესმოდა, —
ხშირად როცა დამტუქსავდნენ,
ჩემს მაგიერ ის კვნესოდა.

დრო გავიდა... და ერთ დღით
ძმა ესტუმრა ანდუყაფარს, —
კართან ცხენი მოაჭენა,
გადმოველო მარდათ ფაფარს!

ქალაქიდან მოფრენილი
მართლაც იყო სასახელო:
უბრწყინავდა ოქრომკედით
მკერდი, მხრები და საყულო.

აქ მთელ ზაფხულს დარჩა, მგონი,
დრო კითხვაში გაატარა.
ტკბილი იყო... პატივს სცემდა
სოფლად დიდი და პატარა.

მან პირველად შემამჩნია,
გამომკითხა ჩემი დარდი.
წიგნის კითხვაც კი მასწავლა,
ბოლოს ისე შეფუყვარდი.

გამრჯე ვაუკაცს, ჩანს, ძმასავით
უქმად დგომა არა სურდა...
და პირველად მან დაარქვა
ანდუყაფარს ქარაფშუტა.

— ქარაფშუტა... ქარაფშუტა! —
ჩემთვის მუდამ ვჩურჩულებდი,
როცა თავადს ახირებულ
დავალებას ვუსრულებდი.

და ისე კი დავუვებოდი
მინდორ-ტყეში სანდიროდ,
ნარეკლებით დაფლეთილი,
მთელი ქვეყნის სასაცილოდ.

ვერ ვჩნდებოდი დარცხვენილი
ველარც სოფლის პატარებთან.
შინ კი ჩემი დაბრუნება
მხოლოდ კაქკაქს ახარებდა.

ყურსად მთვლიდნენ! მონადირეც
იყო აღბათ ამ აზრისა,
ხოლო ერთხელ გაჯავრებით
ყურები რომ ამასრისა,
როცა ჩემი თავი უკვე
სასიკვდილოდ არა მშურდა—

მაშინ ყველამ გაიგონა:
— ანდუყაფარ ქარაფშუტა!
— ქარაფშუტა!—ანდუყაფარს
მოებჯინა გული ყელსა
და ის იყო დასაფლეთად
მოვხვდი ისევ იმის ხელში, —

— მე არ მითქვამს!.. მიფაძახე,
რადგან ვგრძნობდი, გამიმეტა.
— შენ არ გითქვამს!?!—შედეგა წამით, —
მაშ რომელსა გამიბედა?!

სდუმდა ყველა... მაგრამ უცებ
სადღაც ფოთები გაფარუნდა
და კვლავ ყველამ გაიგონა:
— ანდუყაფარ ქარაფშუტა!

აქ, კაქკაქის გამოჩენამ
უმალ ყველა გაგვაცინა...
— მადლობა ღმერთს! — თქვა თავადმა, —
ხიფათს დროზე აუაციდინა...

დაუწყნარდა გული. ძმას კი
მწყურალი თვალი გადაავლო:
— უნიაკი სიტყვა ჩიტსაც
არ ექნება არ ასწავლო!

არა, ჩიტს ვინ ასწავლიდა?
თვითონ მოჰკრა აღბათ ყური,
გასაჭირში დამენმარა,
გამიწია სამსახური.

გვაპატიეს ერთხელ... მაგრამ
ვინ აუბას კაქკაქს ენა!?
ამ ორ სიტყვას აძახებდა
მუდამ ჩვენი გამოჩენა.

ყურს უკვეთდა ანდუყაფარს,
ჩვენ კი ჩუმად გვაცივებდა,
მოხუცებში თავი მოსჭრა,
გაახუმრა ყმაწვილებთან.

თავადს, როგორც მოვასხენეთ,
ქვეყნად საქმე არა მქონდა,
მისი მადის დასაცხრობად
მთაზე ფარა ბალახობდა.

სულს ერჩია ძილისა და
ნადირობის შემდეგ ლხინი,—
ძლივს ყოფნიდა მთელი სოფლის
პური, ღვინო, ხორცი, ხილი!

თითქოს მუდამ მარტო მისთვის
მუშაობდნენ ვაჟკაცები,
მას კი მხოლოდ სადღეგრძელო
უნდა ესვა აღტაცებით!

სტუმრად შეაგდა დიდი ვინმე,
ველებოდა თავზე ყველა...
მაგრამ აქაც გასაჭირში
კვლავ კაქკაქი მოგვეშველა! —

როცა ხელში ეყრა ყანწი,
როცა სტუმრის ქება სურდა,—
სწორედ მაშინ ვადმოსძახა:
„ანდუყაფარ ქარაფშუტა!“

შიშით სახვედს დაველოდე...
და მან მართლაც დაიგრვინა, —
ჩიტს გაუღო შუშაბანდი
და მუქარით გაგვიფრინა!

— ახლა რითი გაერთობი!—
სთქვა და ნიშნის მოგებითა
ძმას მიადგა, მძიმე სუნთქვით
გაფუებულ ლოყებითა.

ძმამ კი მეტის გაღიმებით
ცალი თვალი გადაჭუტა:
— ღღემდის მხოლოდ ჩვენ გვესმოდა
„ანდუყაფარ ქარაფშუტა“.

შენ კი რა ჰქენ? ღღეის შემდეგ
ხომ საქვეყნოდ დავიძახებს,
მთელი კუთხის კაქკაქები
ისწავლიან მაგ შენ სახელს!

ტყიდან ტყეებს გადასცემენ,
ხმას გაიგებს მთა და მდელი, —
„ქარაფშუტას“ დავიძახებს
მალე მთელი საქართველო!..



ჩაეშალა ლხინი თავფედს,
დამეც ბორკვით გაატარა,
წამოიჭრა დილით ადრე,
ხელი მკლავში წამატანა,
წირწამხდარმა მონადირემ
მთებს გახედა დაღონებით
და იმავ დღეს მოვარეთ
წადირობით მთავორები.

შინ მშვიდობით ვბრუნდებოდი,
არ გამართლდა სიტყვა მშისა,
მაგრამ ბოლოს, სავალალოდ,
კვლავ სოფელზე გადმოსვლისას
წინ კაჭკაჭი შეგვეყარა,
კენწეროზე აჯდა თუთას
და მაღლიდან დაგვძახოდა:
„ანდუყაფარ ქარაფშუტა!“
გამიხარდა. ვთქვე: კაჭკაჭმა
იქნებ ტანჯვა ამაცილოს,
იქნებ თავი დაგვანებოთ
წადირობას სასაცილოს...

ეს იმედიც გამიმტყუნდა,
ბედმა უფრო გამაწვალა:
მონადირემ მხოლოდ ძველი
ადგილები გამოცვალა!

არ მაკმარა რაც აქამდის
ფეხისგულით მთები ვცვითე
და ამიტომ ჩუმად, გულში,
მეც სასჯელი გადავუწყვიტე!
სულ ამოდ მივაშურეთ
ჩვენ შორეულ ტყეს და მთა-ბარს, —
ჭირვეული კაჭკაჭები
თან დასდევდნენ ანდუყაფარს.

დაიღალა თოფის სროლით,
უკვე ძალაც აღარ ბქონდა,—
ყბადღებულ მონადირეს
სახელს ჩხიკვიც დასძახოდა!
— ანდუყაფარ ქარაფშუტა! —
სულ სხვადასხვა ჩიტის ხმითა
უხილადად მოესმოდა
ხან აქედან, ხან იქედან!

შეიშალა თითქმის კაცი,
რბოდა გულ-მკერდ გაღვლილი,
ტყიდან ტყეში ძრწოდა რისხვით
როგორც ზამთრის ქარტეხილი...
ძმას შესჩივლა. გული ძმასაც
აუჩვილდა მისი ცოდვით
და გამოგუჟვა სანადიროდ,
ისე, რომ ჩვენ არც ვიცოდით!

არ ვიცოდით... წადირობით
ტყეში ვქმნიდით ისევ ზღაპარს:
მიმალული კაჭკაჭები
დასძახოდნენ ანდუყაფარს!
გაისმოდა თოფის ბათქი.
გულს იხეტქდა მონადირე.

მაგრამ თურმე ძმაც გვიმწერდა, —
უხილავი მონაწილე!
არც კაჭკაჭი არა ჩანდა,
არც ჩხიკვი და არც ჭივჭივი!
დამინახა, რომ ბუჩქებში
მიმალული მე ვიყავი...

ხომ გითხარით უკვე ერთხელ,
სოფლად როცა ვთამაშობდი,
ხშირად სტვენა-გალობაში
ქვეყნის ყველა ფრინველს ვფლობდი.
მაშ რა მექნა? ყურშასავით
რად დავყავდი სანადიროდ! —
ხელმოცარულ მონადირეს
ვინ არ განდის სასაცილოდ!
გასჭრა ჩემმა მოფიქრებამ,
შემიცვალა ლხინით გლოვა,
შერცხვენილმა მონადირემ
წადირობა მიატოვა!

დაწვა ტახტზე და ლუარსაბ
თათქარის ბედს წააბაძა:
თითქმის სულს ამოხდამდის
იძინა და იწარმაცა!

გაქპრა, როგორც ქარაფშუტა
და სოფნაში დამჩნა მსოლოდ, —
რომ ხანდახან ერთმანეთის
გასართობად მოვიგონოთ!
მცონარე და უქმი კაცი
მე რომ სული გამიწვალა, —
ამ ზამთარში აღარა გვეყავს,
იმ ზამთარმა წაიყვანა.


ძველად იყო. მაგრამ ახლაც
ყბად ახადებ სახელ მინდა...
გახსოვთ? იმის თოფის ლულას
ქივჭივი რომ დააფრინდა!
გახსოვთ? როგორ დასცინოდნენ,
არც მე ვყავდი აკი მცველად.
ვინც მაგონებს ანდუყაფარს,
მას გავილავ უმეტელოდ!

ხოლო ვისაც უყვარს გარჯა
გმირული და სასახელო,
ვინც ამ ქვეყნად თავის საქმეს
არ გასწირავს საცაღბელოდ,
საამოდ და საღმინოლოდ
მისთვის დამიძახებია...
წამწამსა და წამწამს შუა
ცეცხლი გამიჩადებია!

აილა, როცა თქვენ გიცქერით,
სიყმაწვილზე მეც მეტებილა
და გიამბეთ რაც გვადამხდა,
როცა ვიყავ თქვენი კბილა.

გაღვირინეს ჩიტებივით
ამ სიტყვებმაც მთა და მდელი, —
ანდუყაფარ ქარაფშუტას
იცნობს მთელი საქართველო!





ერთი დღე ბანაკში

ქვიშხეთის თვალწარმტაც ბუნების ზეიმს დილიდანვე ჩვენი ბანაკის მხიარული და ბედნიერი სამასი ბავშვის ყრიაბული შეუერთდა.

— მარჯვენა-მარცხნივ გაშლილ მკლავებზე გაიჭირა! — გაისმა ფიზკულტურის, პატივცემულ მასწავლებლის გ. აღლაძის ძახილი. გოგონებმა და ბიჭებმა ხალისით ჩაეატარეთ დილის გამამხნეველი ვარჯიში. საყვირი ხაზზე გვიხმობს. სუფთად გამოწყობილი ჩვენი-ჩვენს ადგილებზე ვჩერდებით... ბანაკის უფროს პედაგოგ-ხელმძღვანელ ციქურაშვილს არაჩვეულებრივი სიხარული და დღევა ეტყობა.

— პიონერებო! ჩვენმა ბანაკმა რაზემეულის წითელი დროშა მიიღო, რომელსაც გადაცემთ თქვენს რაზემეულის საბჭოს! — ამ სიტყვების დამთავრებისას გაისმა სამხიარულო ძარში და ხაზის მარჯვენა მხარეს გამოჩნდა ჩვენი გამარჯვების სიმბოლო, რომელიც დიდის მოწიწებით ეჭირა ხელში ჩვენი რაზმის 1-ლი რგოლის პიონერს ლამარა ბერაიას. მან დროშა შემოიტანა ხაზზე და წარმოთქვა სიტყვა:

— ბავშვებო! ეს დროშა გამარჯვების ემბლემაა, ჩვენი ხალისი და სიხარულია. ჩვენ იგი უნდა დავიცვათ და მოვუაროთ, ჩვენ იგი უნდა გვიყვარდეს. ნორჩო პიონერებო! შეფიცეთ, რომ მას ჩვენ დავიცავთ და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე გავუფრთხილდებით.

ხაზის დამთავრებისა და საუზმის შემდეგ დავიწყეთ მზადება ბანაკის საზეიმო გახსნისათვის. ყველა პიონერი აღფრთოვანებით მოელოდა ამ წუთს. მზის ჩასვლის შემდეგ ბანაკის ყველა კუთხიდან გამოდიან პიონერები ჩირაღდნებით ხელში და აკეთებენ ფიზკულტურულ ვარჯიშს. ჩირაღდნების კოცონის შუქზე იმართება მასობრივი ვართობა. ძმები მახაშვილები ასრულებენ ცეკვებს ლეკურსა და მთიულურს. პიონერები დგა-

მენ „ვარსკვლავის“ მონტაჟს, რომელშიც მონაწილეობას იღებს 7 პიონერი.

რაზმის საბჭოს თავმჯდომარეები აბარებენ პატაქს რაზემეულის საბჭოს თავმჯდომარეს. შეძღვევ გაისძის მუსიკის საამური ზმა, მხიარული, ბედნიერი თაობა — ნორჩი პიონერები დიძლით ვიშლებით. ყველანი მზად ვართ, თეორე დღეს კიდევ უფრო მომზადებული შევხვდეთ. დარწმუნებული ვართ, რომ სხვალიხდელი დღე კიდევ უფრო ხალისიანი და ბედნიერების მომტანი იქნება.

ცირა სამაღაშვილი

ქ. თბილისის რკინიგზის ქალთა მე-8 საშუალო სკოლის მე-9 კლასის ზუთოსანი მოსწავლე.

ჩემი მთაბეჭდილება

ლამაზია საქართველოს შუაგული ქართლი, მაგრამ უფრო ლამაზია მისი უძველესი ქალაქი გორი, შემკული გორაკებით, შუაში აძართული ციხით, ძტკვრისა და ლიხვის ზურმუხტოვანი კიდეებით, ბაღებით, ვენახებით, ვარშემორტყმული მინდვრებით. აი ამ ქალაქში, დაახლოებით ათი წლის წინათ, ჩინეთიდან გადმოსასწრა და მამაჩემი. ბედნიერი ვარ იმით, რომ ვცხოვრობ მზიურ საქართველოს იმ მხარეში; სადაც დაიბადა საბჭოთა ხალხის ბედნიერების შემომქმედი დიდი სტალინი.

ამა წლის 8 ივნისს ვეწვიე საქართველოს კომუნალური მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის წალვერის პიონერბანაკს. შორიდან დავინახე საზეიმოდ მორთული ეზო. ეს ჩვენი ბანაკია. გულთბილად მივგვიღეს ბანაკის აღმზრდელებმა. პირველ დღესვე ვიგრძინეთ თანამშრომელთა მშობლიური სიყვარული.

ბანაკში პიონერთა ცხოვრება მრავალფეროვანი და მიმზიდველია. მადლობა ბედნიერი ბავშვობის შემომქმედს დიდ სტალინს, რომელმაც ჩვენი ცხოვრება მიმზიდველი, საამური და მრავალფეროვანი გახადა.

პიონერი სი-ჩინ-ხან

გორის ვაჟთა მე-4 რუსული სკოლის მე-3 კლასის ზუთოსანი მოსწავლე.



ბორის პოლევოი

ნახატები შ. ცხადაძისა

მოთხრობა ნაემრვილ ადამიანზე

გაზეთ „პარადას“ სამხედრო კორესპონდენტი, მწერალი ბორის პოლევოი 1943 წელს ფრონტის ერთ-ერთ აეროდრომზე შეხვდა მფრინავ-გამანადგურებელს, ამჟამად საბჭოთა კავშირის გმირს ალექსი მარესიევს. საპაერო ბრძოლიდან სულ ახლახან დაბრუნებულმა მარესიევმა მწერალს თავის მიწურში მიიპატიუა. როდესაც დასაძინებლად წვეტიდნენ, მარესიევმა ლამპას ჩაუწია და ტანისამოსის გახდა დაიწყო. „რაღაცა მძიმედ, ბრახუნით დაეცა იატაკზე, — გვიამბობს ბ. პოლევოი. — მივიხედე და დაუჯერებელი რამ დავინახე: მან თავისი ფეხები იატაკზე დასტოვა. უფროსი მფრინავი! მფრინავი-გამანადგურებელი! მფრინავი, რომელმაც ჯერ კიდევ დღეს ექვსი საბრძოლო გაფრენა შეასრულა და ორი თვითმფრინავი ჩამოაგდო! ეს დაუჯერებლად მიიჩინდა.

მაგრამ მისი ფეხები — უფრო სწორად რომ ვთქვათ, პროთეზები“), მოხდენილად ჩადგმული სამხედრო ფეხსაცმელებში, იატაკზე ეწყო... მე ამ დროს, აღბათ, შეტად გაცბუნებული სახე მქონდა, რადგანაც მან გადმოხედა ემპატიური, კმაყოფილებით ახსავსე ღიმილით და მკითხა:

— ნუთუ აქამდე არ იცოდით?

— აზრადაც არ მომსკვლია.

— აი ეს კარგია! მაღლობელი ვარ! მხოლოდ მაკვირვებს, როგორ მოხდა, რომ არავინ ვითხრათ. როგორ გამორჩათ აქაურებს ახალი კაცი, და ისიც „პარადას“ წარმომადგენელი, და არ დაიკვივნეს ასეთი საოცრებით.

— მაგრამ ეს ხომ გაუგონარი რამ არის! ემპატიუწყის, თუ როგორი გმირობაა ეს: უფეხოთ იბრძო-

ლო გამანადგურებელზე! ავიაციის ისტორიაში, რამდენადაც ვიცი, ამის მსგავსი არაფერია.

მფრინავმა მხიარულად დაუსტინა.

— ავიაციის ისტორია!.. მისთვის ბევრი რამ არ იყო ცნობილი და ახლა ამ ომში გაიგო საბჭოთა მფრინავებისაგან. ანდა რა არის ამაში კარგი? მერწმუნეთ, რომ მეტი სიამოვნებით ვიფრენდი ნამდვილი და არა ასეთი ფეხებით. მაგრამ რა გაეწუბა ასეთი გარემოება შეიქმნა“...

ბორის პოლევოიმ შემდეგში ამ არაჩვეულებრივი მფრინავის შესახებ დასწერა წიგნი „მოთხრობა ნამდვილ ადამიანზე“, რომელშიც გვიამბობს, თუ რა პირობებში დაკარგა მარესიევმა ფეხები და კვლავ როგორ დაუბრუნდა იგი თავის საუვარედ საქმეს.

ბორის პოლევოი წერს: „მე მეკითხებიან — ძალუძს თუ არა ადამიანს გააკეთოს ის, რაც გააკეთა ჩემი წიგნის გმირმა. ამ წიგნში მოთხრობილი ბევრი რამ ხომ დაუჯერებლად გვეჩვენება?

ამ შეკითხვებზე სიამოვნებით ვპასუხობ — დიას, ძალუძს!

ამ მოთხრობის გმირის თავგადასავალი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, თავგანწირვის თუ რა სიმალეს შეუძლია მიადწიოს ადამიანმა, რომელსაც ასულადგმულებს ბოლშევიზმის იდეა“.

ბორის პოლევოის ამ ნაწარმოებისათვის სტალინური პრემია მიენიჭა.

ქვემოთ ვბეჭდავთ ამ შესანიშნავი წიგნიდან ნაწევრებს, რომელშიც მოთხრობილია ის, თუ როგორ გადაარჩინეს ბავშვებმა სოკოლილის პირას მდგომი ალექსი მარესიევი, როდესაც იგი ტყეში მიფოფავდა და უკანასკნელი ძალ-ღონის დამაბვით.

*) ხელოვნური ფეხები.

... ტყეში სიწყნარე იყო. ყრულ უკაკუნებდნენ კოდალები, წრიბინებდნენ გაჯავრებული წიწკანები და მოჭრილი ფიჭვების თავჩაქინდრულ შტოებში დახტოდნენ. და მანაც ალექსი მთელი თავისი არსებით გრძნობდა, რომ მას უთვალთვალებდნენ.

გაისმა შტოს ტკაცანი. ალექსიმ მიიხედა და ხშირ ნორჩი ფიჭვნარის შიისფერო ბურუსში დაინახა, რომ ფიჭვების ხუჭუჭი კენწეროები შეთანხმებულად ირხეოდნენ ქარის ქროლვის მიმართულებით, ხოლო რამდენიმე მათგანი რაღაც განსხვავებულად ქანაობდა. ალექსის მოეჩვენა, რომ სწორედ იქიდან ჩუმად, ალღევებული ჩურჩული მოისმის, ადამიანის ჩურჩული.

ალექსი აიბურძვანა. გამოიძრო უბიდან დაქანგული, დამტვერული რევოლვერი და ორივე ხელით მოებლაუჭა ჩახმახს. როდესაც ჩახმახის ხმა გაისმა, ფიჭვნარში, თითქოს, ვიღაც გადახტა უკან. რამდენიმე ნორჩი ხის წვერო მაგრად შეირჩა, თითქოს მათ ვიღაც მოეჭიდაო, და შემდეგ ისევ ყველაფერი მიყურდა.

„რა უნდა იყოს—ნადირი თუ ადამიანი?“ — გაიფიქრა ალექსიმ, და მას შემოესმა — ბურჩქებში ვიღაცამ გაიმეორა კითხვა — „ადამიანი?“ რა არის ეს, — გამოძახილი, თუ აი იქ, იმ ბურჩქებში ნამდვილად ლაპარაკობს ვიღაც რუსულად, დიახ, სწორედ რომ რუსულად. და იმის გამო, რომ ლაპარაკობდნენ რუსულად, მან იგრძნო ისეთი გიჟური სიხარული, რომ არც კი დაფიქრებულა, თუ ვინ უნდა ყოფილიყო იქ—მტერი თუ მოყვარე, და აღტაცების ყვირილით წამოხტა ფეხზე, მთელი სხეულით გადაჰქანდა ხმისაკენ და იქვე, თითქოს ფეხები მოსცელესო, კენესით დაეცა და რევოლვერიც თოვლში ჩაუვარდა... დაეცა თუ არა, უშედეგო ცდის შემდეგ ფეხზე დამდგარიყო, ალექსის გონება დაეკარგა, მაგრამ მოახლოებული საშიშროების გრძნობამ კვლავ გამოაფხიზლა. ეჭვი არ იყო, რომ

ფიჭვნარში ადამიანები იმალებოდნენ, ისინი უთვალთვალებდნენ მას და რაღაცას ჩურჩულობდნენ.

ალექსი ხელებზე წამოიწია, აიღო თოვლიდან რევოლვერი, შეუმჩნევლად დაიჭირა მიწასთან ახლოს და დაიწყო თვალთვალი...

რევოლვერი უცანცახებდა მას; ფოფხვისაგან ვახევებულ ხელში, მაგრამ ალექსი მზად იყო ებრძოლა და, რაც შეიძლება, კარგად გამოეყენებია დარჩენილი სამი ვაზნა.

ამ დროს ბურჩქებიდან გაისმა ბავშვის ათრთოლებული ხმა :

— ეი, შენ ვინა ხარ? დოიხ? ფერშტეეშ?


ამ უცნაურმა სიტყვებმა კიდევ უფრო გაამახვილა ალექსის ყურადღება. ყოველ ეჭვს გარეშე იყო, რომ იძახდა რუსი და ისიც ბავშვით.

— შენ აქ რას აკეთებ? — გაისმა მეორე ბავშვის ხმა.

— თქვენ თვითონ ვინა ხართ? — მიუგო პასუხად ალექსიმ და გაჩუმდა, განცვიფრებული თავისი ხმის უძლურებითა და სისუსტით.

მისმა შეკითხვამ ჩოჩქოლი გამოიწვია ბავშვებში. იქ დიდხანს ჩურჩულებდნენ და აქნევდნენ ხელებს ისე, რომ ფიჭვნარის შტოები მძლავრად ქანაობდნენ.





— თავს ნუ ეკატუნებ შენ, ვერ მომატყუებ! გერმანელს მე ხუთ კილომეტრზე ვიცნობ სუნით. შენ ხარ ღოიჩი!

— თქვენ თვითონ ვინა ხართ?

— შენ რად გინდა იცოდე? არ ფერშტეინ... — მე რუსი ვარ.

— სტყუი... აი თვალებიც დამბრმავებია, თუ არ სტყუოდე, ფრიც!

— რუსი ვარ, რუსი, მფრინავი, გერმანელებმა ჩამომადგდეს...

ალექსი ახლა აღარ ფრთხილობდა. იგი დარწმუნდა, რომ ბუჩქებში მისიანებია — რუსები, საბჭოთა ადამიანები. მათ არ ჯერავთ — მერე რა? ომი სიფრთხილეს აჩევეს ბავშვსაც. მთელი გზის განმავლობაში პირველად ახლა იგრძნო მან, რომ ძალზე დასუსტებულია, რომ უკვე აღარ შეუძლია არც ფეხის, არც ხელის განძრევა, აღარ შეუძლია არც მოძრაობა, არც თავდაცვა. ცრემლები ღვარად მოდიოდა მისი ლოყების ჩამავეებულ ღრმულებში.

— შეხე, ტირის! — გაისმა ბუჩქებში. — ეი, შენ, რას ტირი?

— ჰო, რუსი ვარ, რუსი, თქვენიანი, მფრინავი...

— მერე რომელ აეროდრომიდან?

— თქვენ ვინ ხართ? არ მეტყვი?

— შენ რა მერე? შენ პასუხი მოგვეცი.

— მონჩალოვსკის... მომეხმარეთ, გამოდით! რა იშმაკი მოგივიდათ...

ბუჩქებში უფრო გაცხოველებით აჩურჩულდნენ. ალექსის ახლა გარკვევით ესმოდა ფრაზები:

— ხედავ, ამბობს, მონჩალოვსკიო... იქნებ მართალია! მერე, ტირის და... ეი, შენ, მფრინავო, ნაგანს ხელი უშვი! — გასძახეს მას. — გესმის, გადააგდე, თორემ არ გამოვალთ, გავიქცევით!

ალექსიმ გადააგდო გვერდზე რეკოლვერი. გადაიწია ბუჩქები და ორმა ბიჭუნამ ფრთხილად, როგორც ცნობისმოყვარე წიწკანებმა, ყოველ წუთში მზად რომ არიან მოწყდნენ ადგილს და მოჰკურცხლონ, ხელიხელჩაკიდებულნი დაიწყეს მოახლოება. უფროსს, ქერა ქულამიანს, გამხდარსა და ცისფერთვალა ბიჭუნას, რომელსაც წელზე თოკშემორტყმული ქალის ძველი შუშუნი*) ეცვა, ხელში ნაჯახი ჰქონდა მომარჯვებული, ალბათ, იმ განზრახვით, რომ მზად ყოფილიყო ყოველი შემთხვევისათვის. უკან, მის ზურგს ამოფარებული და იქიდან ცნობისმოყვარეობით აღსაყვრ თვალებით მოცქირალი, მოდიოდა უმცროსი, წითური, ჭორფლიანი სახის ბიჭუნა, მოდიოდა და ჩურჩულებდა:

— სტირის, მართლა სტირის. მერე და, რა გამხდარია, რა გამხდარია!

უფროსი ბიჭუნა მივიდა ახლოს ალექსისთან, ხელში კვლავ მომარჯვებული ჰქონდა ნაჯახი, და მამისეული დიდი თუქის ჩექმით შორს გადაისროლა თოვლზე დაგდებული რეკოლვერი.

— ამბობ, მფრინავი ვარო? მერე, საბუთები გაქვს? მაჩვენე!

— ვინ არიან აქ? ჩვენები თუ გერმანელები? — ჩურჩულთ ჰკითხა ალექსიმ და უნებურად გაეღიმა.

— შე საიდან ვიცვი! მე ხომ არ მომახსენებენ. ტყეა აქ, — ეშმაკურად უპასუხა უფროსმა ბიჭუნამ.

საჭირო შეიქნა გულჯიბიდან საბუთების ამოღება. მეთაურის წითელმა გარსკვლავიანმა წიგნაკმა მომხაჯდობელი შთაბეჭდილება მოახსენა ბიჭუნებზე. ოკუპაციის დღეებში დაკარგული ბავშვებმა თითქოს ერთბაშად დაუბრუნდა მათ იმის გამო, რომ მათ წინაშე იყო თავისიანი, მშობლიური წითელი არმიის მფრინავი.

— ჩვენები არიან აქ, ჩვენები! მესამე დღეა, რაც ჩვენები არიან!

— ძია, რატომ ხარ ასეთი გამხდარი?

— ... ჩვენებმა აქ იმათ ისეთი დღე დააყარეს, ისე მაგრად დაარტყეს, ისე ბეთქეს, რომ... აქ ისეთი ბრძოლა იყო, რომ ვერ წარმოიდგენ! იმდენი გაყლიტეს ისინი, უჰ, იმდენი, რომ...

— მერე, როგორ გარბოდნენ?! ერთს ურმის ხელნა გამოება გობისათვის და ისე გობით მისრიალებდა. ორი დაჭრილი კუდში ჩაბლაუჭებოდა ცხენს და ასე მიდიოდნენ, მესამე ცხენზე შემეჯდარიყო როგორც ფონ ბარონი... შენ სად ჩამოგავდეს ძია?

ასე იჭიჭინეს ბიჭუნებმა ცოტა ხანს, შემდეგ კი საქმეს შეუდგნენ. ტყესაკაფიდან საცხოვრებელ ადგილამდე, მათი სიტყვით, ხუთი კილომეტრი იქნებოდა.

ალექსი ისე დასუსტებული იყო, რომ გადაბრუნებაც ვეღარ შეძლო ზურგზე მოხერხებულად დასაწოლად. ციგა, რომლითაც ბიჭუნები ფიჩხისათვის მოსულყვენენ „გერმანელთა ტყესაკაფში“, ძლიერ პატარა იყო, და არც შესწევდათ ბავშვებს ძალა წაეყვანათ კაცი გაუკვლავი გზით—თოვლიანი ყამირით.

უფროსმა ბიჭუნამ, სახელად სერენკამ, უბრძანა ძმას ფედკას გაქცეულიყო რაც ძალი და ღონე ჰქონდა და მშველელები მოეყვანა, თვითონ კი ალექსისთან დარჩა გერმანელებისაგან მის დასაცავად, როგორც თვითონ განმარტა, თუმცა გულში ეეჭვებოდა და ფიქრობდა: „ვინ იცის, ფრიცი ცბიერია — მომაკვდავად მოგაჩვენებს თავს, საბუ-

*) რუსული ტანსაცმელი.

თებსაც იშოვის“... მაგრამ ეს შიში თანდა-
თან გაქარწყლდა და ბიჭუნა ალაპარაკდა.

თბილ ბუსუსიან ხავსზე დაწოლილი ალე-
ქსი თვლემდა ნახევრადდახუჭული თვალებით
და უსმენდა და არც უსმენდა ბავშვს.
ტკბილმა თვლემამ ერთბაშად მოიცვა მთე-
ლი მისი სხეული და ამ თვლემამი მის გონე-
ბამდე აღწევდა მხოლოდ ცალკეული, ერთ-
მანეთთან დაუკავშირებელი სიტყვები. მათი
აზრი ალექსის არ ესმოდა, ის მშობლიური
სიტყვების ბგერების სმენით ტკებოდა...

—... მამაჩემი კოლმეთურნობის თავმჯდო-
მარე იყო, მამასახლისს ეძახდნენ ისინი მას,
— ჰყვებოდა სერენკა ამბავს და მისი სიტ-
ყვები ალექსის ესმოდა ისე, თითქოს კედლის
მეორე მხრიდან იყო ნათქვამი. — მოჰკლეს
ის გერმანელებმა, უფროსი ძმაც მოჰკლეს,
ინვალიდი იყო, უხელო, ხელი კალოზე გაუ-
ფუჭდა. თექვსმეტი კაცი... ჩემი თვალით
ვნახე, ჩვენ ყველა მიგვრეკეს საყურებლად.
მამა სულ ჰყვიროდა, სულ აგინებდა მათ.
„თქვენს ობტში მოვლენ ჩვენი ვულისათვის,
თქვე ძაღლიშვილებო! — ჰყვიროდა იგი. —
სისხლის ცრემლებს გადენენ ჩვენთვისო!“
— და ასე ჩაიმი ახოვრობთ? — ძლივს-


ძლივობით შეეკითხა ბიჭს ალექსი; იგი თავ-
ზე ძალის დატანებით შეეცადა თვლემდის
გამოსულიყო და ჩასწვდომოდა ბავშვის
ალაპარაკებს.

— მამ, აბა როგორ, ასე ეცხოვრობთ. სამ-
ნი ვართ ახლა ჩვენ — მე, ფედკა და დედა.
ვეყავდა დაიკო ნილშკა — ამ ზამთარს მოკვ-
და, დასივდა და მოკვდა, კიდევ ერთი პატარა
მოგვიკვდა, ასე რომ, გამოდის, სამნი ვართ...
გერმანელები ხომ აღარ დაბრუნდებიან, ა?
ჩვენი ბაბუ, — დედაჩემის მამა, იგი ახლა
თავმჯდომარის მაგიერადაა, — ის ამბობს:
არ დაბრუნდებიანო; მკვდარსო, — ამბობს
იგი, — საფლავიდან აღარ აბრუნებენო. დე-
დას კი ეშინია, სულ გაქცევაზე ფიქრობს.
რაღა ვქნათ მერე, რომ დაბრუნდნენო... აი
ბაბუც ფედკასთან ერთად, მეხე!

ტყის პირას წითური ფედკა იდგა და მა-
ღალ, მხრებში მოხრილ მოხუცს თითით
ალექსისკენ აჩვენებდა. მოხუცს წელზე თოკ-
შემორტყმული, ხახვით შეღებილი, შინ ნაქ-
სოვი დახეული არმიაკი*) ეცვა და თავზე
გერმანელი ოფიცრის მაღალი ქუდი ეხურა.

*) რუსული ტანსაცმელი.





მოხუცი, ბაბუ მიხაილა, როგორც მას ბავშვები ეძახდნენ, მაღალი, მოხრილი და გამხდარი იყო. მას კეთილი სახე ჰქონდა, აუფთა, ნათელი, ბავშვური თვალები და მოლივლივე, სრულიად ვერცხლისებრი, რბილი, თხელი წვერები. მან დაუწყა ალექსის ცხვრის ძველ, დაკრებულ ადგილებით აჭრელბულ ქურქში გახვევა, იგი იოლად აბრუნებდა მის მსუბუქ სხეულს და გულუბრყვილო გაკვირვებით ამბობდა:

— ჰოი, ღმერთო შეგცოდნე, მთლად დამდნარა ადამიანი! ეს რა დამართია, ღმერთო ჩემო, ცარიელი ჩონჩხია! რას არ უშვება ეს ომი ადამიანებს! ოპ, ჰო-ჰო! ოპ, ჰო-ჰო!

ფრთხილად, ახლადდაბადებული ბავშვივით, დაუშვა მან ალექსი მარხილზე, შემდეგ

ლაგამის მსგავსად გამოაბა მარხილს ბაწარა დაფიქრდა, გაიხადა არმიაკი, დაახვია ალექსის. შერე გავიდა წინ, შეება ტომრისაგან გაკეთებულ პატარა ცალულელაში, ბაწრების თავები ბიჭებს მისცა ხელში და სთქვა: „გავუდგეთ გზას!“ და სამთავემ გასწია მარხილი მდნარ თოვლზე, რომელიც კავებს ეკროდა და კარტოფლის ფქვილივით ჭრაჭუნებდა.

ბაბუ მიხაილამ მოიხედა, გაულიმა ალექსის თავის ვერცხლისებრ უღვაშებთან, თვალი ჩაუკრა და მხიარულად და ახალგაზრდულად დასძახა:

— ეპეი, სამცხენავ! გავსწიეთ!...

თარგმნა შ. გვინჩიძე



შ ი ნ ა ა რ ს ი

კ. გოგიაშვილი — ნაძენარებში (ნარკვევი)	83	შ. ფორჩხიძე — კრავები წყაროსთან (ლექსი)	21
შ. ამისულაშვილი — მკა (ლექსი)	1	მოსწავლეთა სპორტაკიდა	22
რ. ჩაჩანიძე — ოთხმოცდამეშვიდე (ნამდვილი ამბავი)	5	კ. კალაძე — ბერთყაცის ნამბობი (პოემა)	23
გ. ლეჟავა — ნორჩი კალატოზები (ლექსი)	6	წერილები პიონერთა ბანაკებიდან	27
გ. კაჭახიძე — თემური და გემი (ლექსი)	9	ბ. პოლევოი — მოთხრობა ნამდვილ ადამიანზე (ნაწყვეტი მოთხრობიდან)	28
ს. ხარაზიშვილი — იფურჩქნებიან ნორჩი ტალანტები (ნარკვევი)	10	ნორჩი სპორტსმენები	
მ. ლეხანიძე — ზაზა მესხი (მოთხრობა, გაგრძელება)	14	— ფოტო გ. რუსეცისა	გარეკან. მე-2 გვ.
ი. მჭედლიშვილი — ტყე მახათაზე (ლექსი)	15	გასართობი —	გარეკან. მე-3 გვ.
	20	საქართველოს ფრინველები —	
		ფოტო რ. აკოფოვისა	გარეკან. მე-4 გვ.

გარეკანზე „ნორჩი მუსიკოსები“ ნახატი შ. ცხადაძისა

პასუხისმგებელი რედაქტორი შ. კაჭახიძე


სარედაქციო კოლეგია: ი. აბაშიძე, აკად. ნ. ბერძენიშვილი, შ. გვინჩიძე, (პემ. მდივანი), გ. ვარდიაშვილი, პროფ. გ. თავაშვილი, ა. გიგოლაშვილი, პ. მეტრეველი, ნ. ნაკაშიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტელ. 3-81-85

უფ 11799 ტირაჟი 7.200 გამოცემლობის შვკ. № 60 სტამბის შვკ. № 1081
 ლ. პ. ბერიას სახელობის კომბინატი „კომუნისტი“ ლენინის ქ. № 28. ჟურნალის გარეკანი დაბეჭდილია ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის ფოტოცინკოგრაფიაში.

საჭადრაკო ხუმრობა

ეს ხუმრობა წარმოდგენილი იყო მსოფლიო ჩემპიონის ე. ლასკერის მიერ.



თეთრები: მფა5, მზნ6, კდ5.
შავები: მფა8, დე2.
თეთრება აკეთებენ შამათს 1/2 სვლაში.

რამდენი თესლი ჰქონდა საზამთროს?

ერთი ყმაწვილი კაცი საზამთროს სჭამდა. თესლი ჰქამას უშლიდა და ამით გულმოსულმა თქვა: — ამ ოხერს, რა ბევრი თესლი აქვს, ნეტავი, ამდენი წელი მაცოცხლაო! როცა საზამთრო გაათავა, დაინტერესდა და თესლის კურკები დაითვალა. საზამთროს იმდენი თესლი აღმოაჩნდა, რამდენი წლისაც იყო იმ ყმაწვილ მისი მამა.

ეცოტავა: მამაჩემი ჯერ ჰარმავად არის, მე კი მის ასაკში სიკვდილი მინატრიაო!

გამოიცანით: რამდენი თესლი ჰქონდა საზამთროს, თუ რომ მამა შვილზე 36 წლით არის უფროსი, 10 წლის წინათ კი მამის წლოვანება ოთხჯერ აღემატებოდა შვილის წლოვანებას?

დ. ქეჩიკიძე

ბამოცანები

1

ადვილად მისი მარცვლი ჩიტს როდის მოუტაცია! ჩალის ლეროზე ჩამომჯდარს ცხრა ახალუხი აცვია.

2

ქვემძრომების მტერი არის არას ერჩის ადამიანს, ტანეკლიანს ხილიც უყვარს, ეტანება ვაშლს თუ ქლიავს, გაგორდება და საჭმელი შვილებისთვის ზურგით მიაქვს.

3

ფრთაშავია... გვალობელი არ ყოფილა ოჯახის დღეში. სიტარულით აჩხავლდება, თუ იპოვა სადმე ლეში.

4

ხილა... ეკლის ბუდეში ზის და ნელ-ნელა მაგრდება; დაშფიტდება და ბუდიდან თვითონვე გამოვარდება.


საპარტოვლოს ფრინველები

(პასუხი გარეკანის მე-4 გვერდზე მოთავსებული სურათებისა)

1. ბატკან-ჭამიძე;
2. მურცხალი;
3. მარწყუხა;
4. თეთრფრთიანი ბოლოცეცხლა;
5. ხოსობი;
6. წყლის შაშვი;
7. ჩვეულებრივი კირკიტა;
8. ყაყაბი;
9. კრლყავი;
10. შინაური ბელურა;
11. შურთხი;
12. შავ-შუბლა ლაქო;
13. ბულბული;
14. მთის ბოლოქანქალი;
15. წყრომი;
16. შავთავა გრატა;
17. ძევა;
18. მწვანე კოდლა;
19. ოფოფი;
20. კაკაბი;
21. შროშანი;
22. ჩიტ-ბატონა.



9/66



ამ ფოტოსურათებზე წარმოდგენილია სპარტოვლ ოს ფრიინველში. ეცადეთ გამოიცნოთ!
(პასუხი იხილეთ გარეყანის მე-3 გვერდზე)